გამარჯობა, მფობლიურო სკოლავ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 203 (11814) | ხუთშაბათი, 1 სექტემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ჩემი სიტყვა ახალგაზრდობას

ჩვენი ბრძოლა,
შრომა წმინდა,
ჩვენი ჩანგის სიმთა ქნარა,
მომავალნო,
თქვენთვის გვინდა,
თქვენი ვარდის გასაშლელად!

ვით არ ვიცით მკლავში დაღლა,
თქვენც აშენეთ ისე მტკიცედ,
და ის დროშა ასწით მაღლა,
რომელიც ჩვენ დავიფიცეთ!..

გიორგი ლეონიძე

31 აგვისტო.
თბილისი

აი ჩვენი სკოლა...

ფოტო ბ. დადვაძისა.

სწავლა და შრომა

მკითხველო მიმოიხედეთ ირგვლივ. თითქოს გაზაფხულის მერცხლები მოფრენილან. დილიდანვე ყრიამულით ივსება ქალაქის ქუჩები და სოფლის გზები, მოედნები და ველმინდვრები. ზაფხულის ცხელი ორი თვის მანძილზე ქვეყნის კედით კიდემდე მიმოფანტულნი, დღეს საზეიმოდ მიეშურებიან თავიანთი სანუკვარი და საყვარელი მეორე ოჯახისაკენ — სასწავლებლისაკენ. ათასობით და ათასობით გოგონები და ბიჭუნები, ქალაშვილები და ჭაბუკები სასიამოვნოდ მორთულ-მოკაზმულნი, მზმოკიდებულნი სიცოცხლით სავსენი დღეს იწყებენ სწავლას. უკან რჩება არდადეგების ტკბილად მოსაგონარი დღეები, იწყება სწავლისა და შრომის, ახალ ოცნებათა და მისწრაფებათა, ახალი ძიებისა და აღმოჩენების, მეცნიერების ამოუწურავ საიდუმლოებათა ამოცნობის, შრომის სიხარულის ახალი შეგრძნობის დღეები.

ჩვენ ყველას გამოგვიცდია და მარად გამოვცდით კალენდარული ახალი წლის სიხარულს, მაგრამ სულ სხვაა სიხარული, რასაც სკოლას ახალი სასწავლო წლის დადგომა განაცდევინებს.

კალენდარულ ახალ წელს გონების თვალს გადავავლებთ გავლილი გზის შედეგებს, ღრმად ვწვდებით მომავლის პერსპექტივებს, რათა შეუპოვრად ვიაროთ წინ.

ასევეა სკოლაშიც ახალი სასწავლო წელი.

სკოლის დროშაზე სულ უფრო და უფრო მკვეთრად ისახება დევიზი — სწავლა და შრომა.

წლევანდელი პირველი სექტემბერი კიდევ იმითაც არის განსაკუთრებით სასიხარულო, რომ ჩვენი სკოლის საკლასო ოთახებს ყურნალით ხელში შეაღებს ბევრი, ბევრი საყვარელი მასწავლებელი, რომელთა შრომა დიდად დააფასეს პარტიამ და მთავრობამ. მადლიერ მოსწავლეთა წინაშე დღეს არა ერთი დაჯილდოებული მასწავლებელი წარსდგება.

სკოლა ხალხის უპირველესი საზრუნავია ჩვენში, იგი გარემოსილია სიყვარულით და პატივისცემით, მხარდაჭერით და დახმარებით. ხალხის, მშრომელთა ძალებით და სახსრებით აშენებულ ათობით ახალ სკოლაში დაირეკა დღეს პირველად ზარი, მილიონობით მანეთი დაიხარჯა და კვლავაც დაიხარჯება სკოლების მშენებლობაზე კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების სახსრებიდან, სახელმწიფოს ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები 93,4 მილიონ მანეთს შეადგენს, რაც 3-ჯერ აღემატება 1958 წლისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხას.

ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი სკოლების მტკიცე მატერიალური ბაზით უზრუნველყოფისათვის. რეპუბლიკის 186.157 მოსწავლე ჯერ კიდევ ორ ცვლად მეცადინეობს. მთლიანად აღკვეთილი არ არის სამ ცვლად მეცადინეობაც. გვახსოვდეს, რომ მომავალი სასწავლო წლისათვის ამთავითვე უნდა ვემზადოთ და არც ერთი წუთით არ შევანელოთ მშენებლობის ტემპები.

სკოლა მოწოდებულია აღუზარდოს საშშობლოს ყოველმხრივ განვითარებული, შეგნებული შრომისათვის მომზადებული ახალგაზრდობა. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნება დაყენებული საწარმოო სწავლება სკოლებში. ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა უკვე ეუფლება 70-მდე პროფესიას ათობით სხვადასხვა საწარმოში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ასობით სხვადასხვა სახის სასკოლო სახელოსნო, მანქანათმცოდნეობის 369 კაბინეტი, ელექტროტექნიკის 185 კაბინეტი. მათთვის საჭირო ხელსაწყოებისათვის ბიუჯეტით მარტო წელს გაღებული 17 მილიონი მანეთი, — ყველაფერი ეს მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისათვის.

ჩვენს ნორჩ თაობას, ახალგაზრდობას უყვარს შრომა. საჭიროა ამ მისწრაფების, შრომისადმი სიყვარულისა და ინტერესის სწორად აღზრდა და წარმართვა.

ახალი სასწავლო წლიდან საწარმოო სწავლებაზე გადავა კიდევ 270 სკოლა. IX-X კლასების 20 ათასი მოსწავლე მიიღებს შრომითს ჩვევებს და პროფესიებს შეისწავლის რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ხალხის უდიდესი სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობს სკოლა-ინტერნატი. წელს გვემატება 13 ასეთი ახალი ტიპის სასწავლებელი 4.480 მოსწავლისათვის. ამ ტიპის სასწავლებლების დიდ პერსპექტივებზე მეტყველებს ის, რომ 1965 წლისათვის მათში 42 ათასი ბავშვი ისწავლის.

შრომითი აღზრდის ღონისძიებები არამც და არამც არ უნდა ანელებდეს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ამაღლებისათვის, მეცნიერების საფუძვლების დაუფლებისათვის ზრუნვას.

მიმდინარე სასწავლო წელს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ერთი წუთითაც არ უნდა ანელებდნენ ყურადღებას, მხარდაჭერას და დახმარებას სახალხო განათლების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმისადმი.

ახალი სასწავლო წელი დაიწყო. სიტყვა თქვენზეა, სკოლის მუშაკებო!

დღეს პირველი ზარი დაირეკება.

დაე იყოს იგი კეთილის, უყეთესის, სასიხარულო სიახლეთა მაცნე რესპუბლიკის სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებაში.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ავიაციის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ავიაციის დღესთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ ავიაციის მოწინავე მუშაკები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ივანიმოვი პეტრე ბაგრატის-ძე
2. აივატარიანი ლევან ტიგრანის-ძე
3. ასათიანი ვლადიმერ ალექსის-ძე
4. გელაშვილი მიხეილ ილიას-ძე
5. გოლობოროდკო ნიკოლოზ ათანასეს-ძე
6. დავითაშვილი მიხეილ გიორგის-ძე
7. დარაკოვი ალექსანდრე ივანეს-ძე
8. დვალი ვასილ ნიკოლოზის-ძე
9. დუბინსკი იოსებ საველის-ძე
10. ვადოვი იგორ ევგენის-ძე
11. თალაკვაძე ლეონიდე ბესარიონის-ძე
12. თოთლაძე ბაგრატ დავითის-ძე
13. იაროსლავცევი თევდორე პეტრეს-ძე
14. კაკაბაძე სერგი ვასილის-ძე
15. კიკნაძე დიმიტრი ალექსანდრეს-ძე
16. კოლპაკოვი სტეფანე ტიმოთეს-ძე
17. კონოტოპოვი ანდრია გიორგის-ძე
18. კორენოვი პავლე ვლადიმერის-ძე
19. კულინიჩი პეტრე ივანეს-ძე
20. კუჭავა ვასილ სოლომონის-ძე
21. ლუკიანოვი ვასილ ანტონის-ძე
22. მარტაშვილი ვასილ ნიკოლოზის-ძე
23. მატვეევი ვიაჩესლავ ნიკოლოზის-ძე
24. მაციაკა მარიამ ალექსის ასული
25. მეტრეველი ალფრედ დავითის-ძე
26. მინაკოვა მარიამ ვასილის ასული
27. მოშიაშვილი ემანუელ დავითის-ძე
28. ომიაძე მიხეილ ლონგინოზის-ძე
29. პეტროვი ვიქტორ სიმონის-ძე
30. საველიევი პეტრე ალექსანდრეს-ძე
31. სამადალაშვილი ივანე ზაქარიას-ძე
32. საღარაძე ალექსანდრე ტრიფონის-ძე
33. სოხელია თევდორე სტეფანეს-ძე
34. ხუხანი გაბრიელ პეტრეს-ძე
35. ტარკილი რადიონ ქაგოს-ძე
36. ტერ-პეტროსიანი არამაის ვარდანის-ძე
37. ფირანაშვილი კარაპეტ არუთინის-ძე
38. ღვინჭილია თამარ სარდიონის ასული
39. ყოჩიაშვილი გიორგი იოსების-ძე
40. ცხადაია მიხეილ აქსენტის-ძე
41. ჭანკოტაძე შალვა ლავრენტის-ძე
42. ხოდელი ვასილ ნიკოლოზის-ძე
43. ჯამბაზიშვილი სიმონ სამსონის-ძე
44. ჯანჯღავა ტრიფონ გიორგის-ძე
45. ჭიოეევი ზნაურ ილიას-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წ. 24 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მრავალი წლის ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება:

1. გზელიშვილს ანდრია ანდრიას-ძეს
2. დელარზონს მოსე სამუელის-ძეს
3. ივანცოვს სერგეი ივანეს-ძეს
4. მიქელაძეს შალვა ვარლამის-ძეს
5. პივოვაროვს გრიგოლ ნათანის-ძეს
6. ხვედელიანს იაკობ რომანოზის-ძეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1960 წ. 24 აგვისტო.

ნ. ს. ხრუშჩოვი იაპონიის სამრეწველო გამოფენაზე

31 აგვისტოს ნაშუადღევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია იაპონიის სამრეწველო გამოფენას, რომელიც გახსნილია მოსკოვში, „სოკოლნიკის“ კულტურისა და დასვენების პარკში, და დაათვალიერა მისი ექსპონატები.

საპატიო სტუმარს შეხვდნენ იაპონიის ელჩი საბჭოთა კავშირში ს. კადოვაკი, გამოფენის დირექტორი ს. აძუმა, მოსკოვს მყოფი იაპონიის საქმიანი წრეების წარმომადგენლები. (საკდესი).

უმაღლესი სკოლა ახალ წელიწადში

დღეს დაიწყება მეცადინეობა ჩვენი ქვეყნის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო განათლების მინისტრის მოადგილემ მ. ა. პროკოფიევმა განაცხადა:

— მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყნის უმაღლესმა სასწავლებლებმა მიიღეს 550 ათასზე მეტი სტუდენტი, რომელთა მეტი წილი იმეცადინებს წარმოების მოუწყვეტლივ. განსაკუთრებით ბევრი ახალგაზრდა მიღებულია ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში.

სასიხარულოა ის, რომ შევსება მნიშვნელოვანწილად მათგან შედგება, ვისაც აქვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

წელს პირველ რიგში უკონკურსოდ იღებენ უმაღლეს სასწავლებლებში მათ, ვინც სასწავლად გამოგზავნეს სამრეწველო საწარმოებმა, მშენებლობებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ამ მხრივ დიდი მუშაობა შეასრულეს უკრაინის საწარმოებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. ამის შედეგად იმ პირთა რიცხვი, რომლებიც სასწავლად გაგზავნეს წარმოების საგზურებით, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღის საერთო გეგმის 50 პროცენტს აღწევს.

უმაღლეს სასწავლებელთა კარი ფართოდ გაიღო სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებიც დემობილიზებული არიან არმიიდან და ფლოტიდან.

ახალი სასწავლო წლის განმასხვავებელი თავისებურებაა აგრეთვე ის, რომ 1 სექტემბრიდან ჩვენს ქვეყანაში გაიხსნება ახალი ტიპის პირველი სასწავლებლები — ქარხანა — უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები. ისინი შეიქმნა მოსკოვში ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანასთან, დნეპროძერჟინსკის ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიულ ქარხანასთან, აგრეთვე ლენინგრადში პენზასა და კრასნოიარსკში.

ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებს, თქვა დასასრულ მ. ა. პროკოფიევმა, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ თავიანთი მუშაობის შემდგომ სრულყოფას.

დიდი შრომითი წარმატება

საქართველოს კპ ჯავის რაიკომის მდივანს
ამხანაგ ბ. ნ. ცხოვრებოვს

ჯავის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხანაგ ს. ნ. ბასიევს

საქართველოს ალკკ ჯავის რაიკომის მდივანს
ამხანაგ ს. ვ. კოკოევს

ჯავის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 108,7 პროცენტით შესრულებაში.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ 1960 წელს თქვენ მიერ ნაკისრი დიდი ვალდებულებანი საზოგადოებრივი მეცხოველეობის, როგორც მეურნეობის საფუძვლის, განვითარების და სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების დარგში წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის მდივანს
ამხანაგ ზ. ს. უზუნაშვილს

ახმეტის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხანაგ ბ. მ. ბიძინაშვილს

საქართველოს ალკკ ახმეტის რაიკომის მდივანს
ამხანაგ ზ. დ. კალამაშვილს

ახმეტის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 113 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით შესრულებაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციული და ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ 1960 წელს თქვენ მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების დარგში წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის მდივანს
ამხანაგ ა. მ. დავითაშვილს

გურჯაანის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხანაგ ვ. ი. შავგულიძეს

საქართველოს ალკკ გურჯაანის რაიკომის მდივანს
ამხანაგ ნ. ვ. გურგენიძეს

გურჯაანის რაიონის ყველა მშრომელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 108 პროცენტით, კვერცხისა — 104,7 პროცენტით და კურკოვანი ხილისა — 141 პროცენტით შესრულებაში.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციული და ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ 1960 წელს თქვენ მიერ ნაკისრი ვალდებულებანი სოციალისტური ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, ყურძნის, ხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების დარგში წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

დღეს პირველად...

I. **უზარმაზარ**, ლამაზ ხეობაში მთის პატარა მდინარე ტანას ნაპირზე აეშენებიათ თეთრი შენობები. ეს ატენის სკოლა-ინტერნატია. ერთ-ერთი დიდი შენობა საყოფაცხოვრებო კორპუსია. აი ის კოშკია სახლი კი სახელოვნო კორპუსია. დღეს აქ თვალციმციმა ბიჭუნები და ცქრიალა გოგონები პირველად შეაღებენ საკლასო ოთახების კარებს და დაიწყება სწავლის ხალისიანი, მჩქეფარე დღეები.

— გორელმა მშენებლებმა, —გვეუბნება გორის რაიისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ავთანდილ ჩხეიძე, — სკოლა-ინტერნატის აგება მიუძღვნეს დიდი ქართველი პედაგოგის, ჩვენი თანამემამულის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 120 წლისთავს. იმ უყულმართ დროში გოგებაშვილი სწორედ ასეთ სკოლებსა და სწავლა-აღზრდაზე ოცნებობდა.

— ნეტავი წამოახედა იაკობი და დაანახვა, რომ ატენში, სადაც წინათ გლეხის შვილები ვერც კი ოცნებებდნენ ასეთ სკოლაზე, სწორედ, რომ შესანიშნავი სკოლა-ინტერნატი აშენდა, —ამბობს სკოლა-ინტერნატის დირექტორი აკაკი საგანელიძე.

—აი, შვილო, ამ ლამაზ სკოლაში ისწავლი ხვალიდან. — უთხრა დედამ პატარა ბუთხუზა ბიჭს ვ. ბუთხუზს და სკოლა-ინტერნატის აღმზრდელებს ჩააბარა პირმშო. ჩააბარა და თან დაუბარა:

„გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება,
შრომა, ჯაფა ნუ დაგეზარება,
მუდამ გახსოვდეს, რომ შენი ცოდნა
შენსა ქვეყანას გამოადგება.
იყავ ბეჯითი და გერნდეს სმენა,
დიდი განძია სწავლის შეძენა“.

დედამ პირმშოს ერთხელ კიდევ გაახსენა გოგებაშვილის „ბუნების კარიდან“ დასწავლილი ეს ლექსი და შვილსა და მის მომავალ აღმზრდელებს დაემშვიდობა. მან იცის, რომ იქ მის შვილს სათანადო ცოდნას მისცემენ და წესიერად აღზრდიან.

ატენის სკოლა-ინტერნატის მშენებლობასა და კეთილმოწყობაზე 5 მილიონამდე მანეთი დაიხარჯა. დიდი საკლასო ოთახები, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის კაბინეტები, ლაბორატორიები, სასპორტო დარბაზი — აი ასეთია სასწავლო კორპუსი, ხოლო საცხოვრებელი კორპუსის სამსართულიან შენობაში თვალს იტაცებს ლამაზი და მაღალსართულიანი რბილი და მაგარი ავეჯით დამშვენებული ბავშვთა საძინებელი და გასართობი, აგრეთვე მშობელთა მისაღები ოთახები. პირველ სართულზე არის სამედიცინო ოთახი, იზოლატორი, საავადმყოფო. ძიძების ოთახები. მესამე კორპუს. მთლიანად სასაწყობო მეურნეობას აქვს დათმობილი, მეოთხე კორპუსი კი მასწავლებელთა საცხოვრებლად არის გათვალისწინებული.

ყოველივე ეს შედეგია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშობლიური ზრუნვისა ხალხისათვის.

დღეს აქ პირველად აწკრიალდება ზარი, პატარები ნათელ საკლასო ოთახებში პირველად მიუსხდებიან მერხებს და ხარბად დაეწაფებიან ცოდნის დაუშრეტელ წყაროს.

სურათებზე: სოფელ ატენის სკოლა-ინტერნატი, სადაც პირველად მოიყვანეს სოფლიდან პირველი კლასის აღსაზრდელი...

მახსოვს პირველად სასწავლებელში, ფასაყვანადა რომ მომამზადეს...
მახსოვს პირველად...
მუდამ, ყოველთვის გვეხსომება პირველი კეთილი ნაბიჯი, პირველი კეთილი საწყისი დიდი საქმისა, პირველი სიხარული და პირველი თრთოლვა.

ის, რასაც ჩვენი კორესპონდენტი ქვემოთ გიამბობთ, ის, რასაც ფოტოსურათების სახით ქვემოთ იხილავთ, როდია მარტო ჩვენი საყვარელი და უძველესი ქალაქისათვის — გორისათვის დამახასიათებელი. რესაუბლიკის მრავალ, მრავალ ახალ კეთილმოწყობილ სკოლაში აწკრიალდა დღეს პირველი ზარი.

ვინ მოთვლის, რამდენი ახალგაზრდა შეაღებს დღეს საკლასო ოთახის კარებს პირველად როგორც მასწავლებელი და შეუდგება მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

და მით უფრო ვინ მოთვლის, თუ რამდენი ბავშვი გულისფანცქალით დაიწყებს ცოდნის კიბეზე აცოცებას — პირველად დღეს სკოლაში!...

კეთილი იყოს პირველი ნაბიჯი!



კომუნისტი

დღეს ნომერში:

სწავლა დაიწყო, სიტყვა თქვენზეა სკოლის მუშაკებო!

პირველი ზარი, პირველი სიხარული

იმკიან შრომის ნაყოფს მოწინავე რაიონები

საბჭოთა ფიზკულტურელებს მიუყავთ ოლიმპიური თამაში

ამერიკა ფაშიზმის მოლიპულ გზაზე

ვზარდოთ ახალი ადამიანი!

ისმინე, სწავლის მაძიებელო...

მწვერვალებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ არის გადალებული ეს სურათი. გულმა ვერ მოუთმინათ თბილისის №. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს და სწავლის დაწყებამდე ერთი დღით ადრე მოვიდნენ მშობლიურ სკოლაში ერთმანეთს გაუზიარეს არდადეგების დროს მიღებული შთაბეჭდილებები. დღეს კი ისინი მოსწავლის ლამაზ ფორმებში გამოწყობილები მიუსხდებიან მერხებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და შ. ჩხეტიანისა.

დღეს ჩვენი ქვეყნის სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები ფართოდ უღებენ კარს მოსწავლე ახალგაზრდობას, სტუდენტობას.

სწავლასა და შრომაში ყოველთვის იწროობოდა ადამიანი და ხოლოდ ოქტომბრის კაცობრიობის წინსვლა. მაგრამ ჩვენს დროში სწავლასა და შრომას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს ის დროა, როცა ადამიანი საოცარი სიჩქარითა და წარმატებით ეუფლება ბუნების ძალებს, განახორციელებს ზრახვებს, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ძნელად ოცნება იყო.

ადამიანმა მიაკვლია ბუნების მრავალ საიდუმლოებას, მოიპოვა ენერგიის უსაზღვრო ნაკადები დედამიწის წიაღში. მზის გამოსხივებაში, ნივთიერების ატომებში, შექმნა სრულიად ახალი თვისებების ნივთიერება, აღმოაჩინა ნივთიერების განვითარების კანონზომიერებანი სამყაროს უშორეს სივრცეებში.

ოქტომბრის ამ დიად წარმატებებში პირველია ჩვენი სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

მაგრამ, როცა განვლილ გზის შედეგებს ვაჯამებთ, მაინც წინ უნდა ვიყურებოდეთ. წინ კი კომუნიზმის იფეებით გაბრწყინებული გზა დევს ოქტომბრის ნათელი მომავლისაკენ. ეს გზა კვლავ სწავლის, შრომისა და ბრძოლის გზაა.

დიადი მომავალი ახლა იბადება იმ მერხებთან, რომლებსაც დღეს მიუსხდება მოსწავლე ახალგაზრდობა, იმ ლაბორატორიებში, სადაც დღეს სწავლობს. ეძიებს და იკვლევს სტუდენტობა.

დღეს ის თაობები სწავლობენ ჩვენს სასწავლებლებში, რომლებიც ხვალ კოსმოსის უსაზღვრო სივრცეებში ახალ გზებს გაიკვლევენ, ახალი მაგელანები და კოლუმბები იქნებიან.

ვუსურვებთ მათ დიდ წარმატებებს სწავლასა და შრომაში, მეცნიერების მწვერვალებისკენ მავალ გზაზე.

ე. ...

დაიმსახურეთ უფლება...

საშობიერლოს სიყვარული ადამიანის დიდი გრძნობა და მოვალეობაა. ეს გრძნობა დიდ ვალდებულებას აკისრებს ყველა ჩვენგანს, დიდსა და პატარას, მოხუცსა და ახალგაზრდას. საშობიერლო მარტო მიწა-წყალი კი არ არის, არამედ ის პირველ რიგში ხალხია, ადამიანებია, ამ ადამიანთა სახელოვანი წარსული და აწმყოა. რამდენადაც ეს ხალხი თავდადებული მებრძოლია ადამიანის საუკეთესო მომავლისათვის და ქმნის ამ მომავლისათვის დიდი ღირებულების სულიერ განძს, იმდენად სახელოვანია საშობიერლო. ხალხს შემადგენელი ნაწილი კი ყველა ჩვენგანია. შემოქმედებითი ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ბრძოლა ხარ თანამედროვე ცოდნით, იმ ცოდნის მარაგით, რომელიც კაცობრიობამ დაგროვა თავისი ორსებობის მანძილზე. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაუზარელი იქნებით სწავლაში, შრომაში.

უნდა იშრომო იმისათვის, რომ იყო მონაწილე სახელოვანი მომავლისა, გქოდეს უფლება იამაყო წარსულით, რომელიც ბამბა-პაპათა მოუპოვებიათ.

და აი დღეიდან კვლავ ახმაურდებიან სასწავლებლის კედლები უნივერსიტეტისა თუ საშუალო სკოლის, ინსტიტუტისა თუ ტექნიკუმისა. და თქვენ უნდა შეუდგეთ დიდი ცოდნის მიღებას, ცოდნისა, რომელიც კაცობრიობის უდიდესი და საუკეთესო მონაპოვარია.

გილოცავთ ამ შესანიშნავ დღეს. გისურვებთ, რომ თქვენი შრომით, საქმით, სწავლით ყოველმა თქვენგანმა დაიმსახუროს საშობიერლოს სიყვარული, თქვენ კი უფლება — გიყვარდეთ იგი — თქვენი საშობიერლო, თქვენი ხალხი, რომელიც ახალი, ნათელი უდიდესი ცხოვრების მშენებელია.

ცოდნა შრომით მოვა

პირველი სექტემბერი მართლაც რომ საზეიმო დღეა მოსწავლეთათვის. ამ დღეს ...ება ყოველი სკოლის კარი და იწყება სწავლა. ვისაც ენება შეისწავლოს მეცნიერული ადამიანის უპირველესი ღირსების საქმე — შრომა, ვისაც სურს ჩასწვდეს თანამედროვე მეცნიერების საიდუმლოებანი. არ შეიძლება სიბარულით არ აღებდეს სკოლის კარს, იმ სკოლისა, სადაც მის გონებასა და ახოვნებაში აფიფადებენ მისივე ცოდნის მტკიცე საფუძველს.

რამდენი სიხარული მოაქვს სკოლას მოსწავლისათვის. აქ სწავლობ და იმტკიცებ ადამიანში შენს დედა-ენას. აქ ეუფლები სხვა ენების საფუძვლებს, უპირველეს ყოვლისა რუსულს, შემდეგ ინგლისურს, ფრანგულს ან გერმანულისას. აქ პოულობ ბევრ ისეთ მეგობარსა და ამხანაგს, რომელთანაც შემდეგ მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე ხარ დაკავშირებული. აქ ეცნობი შენს მასწავლებლებს, რომელთა სიყვარულს ვერასოდეს ვერ ამოშლი მეხსიერებიდან.

გაივლის წლები. ათეული წლები, მაგრამ რა დროსაც, შენი ასაკის რომელ ხანაშიც უნდა შეადო ამ სკოლის კარი, სადაც გისწავლია, არ შეიძლება არ განიცადო საამო გულისჩქროლა და ისეთი გრძნობა, თითქოს შენს საკუთარ სახლში შედიხარ, საიდანაც ასე გგონია მხოლოდ გუშინ გამოხვედ.

გილოცავთ დღევანდელ ბედნიერ დღეს, ჩემი ქვეყნის მომავალო, ჩვენო ახალგაზრდობავ!

სკოლა და ცხოვრება

თამარ ლაშქარაშვილი,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

დღეს, პირველი ზარის აწკრიალების დღეს, ჩვენ გვინდა თვალი გადავავლოთ განვლილ მუშაობას და ვიფიქროთ მომავლის პერსპექტივებზე.

საბჭოთა სკოლა, ისევე როგორც მთელი ჩვენი დიდი ქვეყანა, ამჟამად დიდი ალმავლობის გზაზეა.

ფართო ფრონტით ხორციელდება სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა, რაც მთლიანად შეესაბამება მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებს, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდის ძირეულ მოთხოვნილებებს.

გასულ წელს — სკოლების ახლებურად მუშაობის პირველ წელს მოსწავლეთა სწავლებასა და აღზრდაში დიდი ცვლილებები მოხდა.

ჩვენს რესპუბლიკაში სკოლის გარდაქმნის პირველი შედეგები მოწმობენ, რომ მასწავლებლებმა და სახალხო განათლების მუშაკებმა, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და აქტიური დახმარებით, ცოტა რიდი იშრომეს პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

მართალია, ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების გზაზე მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადადგმული, მაგრამ უკვე მიღწეულია ზოგიერთი წარმატება მოსწავლეთა შრომითს აღზრდაში.

საშუალო სკოლის უფროს კლასებში მოეწყო საწარმოო სწავლება. 181 საშუალო სკოლის IX კლასების 5 ათასამდე მოსწავლემ გაიარა საწარმოო სწავლება 56 სამრეწველო საწარმოში, 22 საბჭოთა მეურნეობაში, 63 კოლმეურნეობასა და 12 სარემონტო-ტექნიკურ სადგურში. მოსწავლეები 70-მდე პროფესიას სწავლობდნენ.

პრაქტიკულ და თეორიულ მეცადინეობას ხელმძღვანელობდნენ კვალიფიციური ინსტრუქტორები კადრის მუშაოთ, ინჟინერთა და ტექნიკოსთა რიცხვიდან.

სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში საწარმოო სწავლების ორგანიზაციამ დადებითი შეფასება მიიღო.

სოფელ ადგილებში შრომითი სწავლება ხორციელდებოდა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებად კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, სადაც მოსწავლენი ებმებოდნენ შრომაში და ეუფლებოდნენ ტრაქტორისტის, მეჩაიეს, მევენახის, მებაღის, მეაბრეშუმის, მეცხოველის პროფესიებს. მოსწავლეთა ბრიგადებმა, რომლებშიც 89 ათასი მოსწავლე გაერთიანდა, გასულ წელს 1 მილიონ 200 ათასი შრომადღე გამოიმუშავეს. მახარაძისა და გურჯაანის რაიონების, აჯარისა და აფხაზეთის ბევრი სკოლის მოსწავლეთა ბრიგადებმა ჩაის, ყურძნის, სიმინდის მაღალი მოსავალი მოიყვანეს, კარგ მანვენებლებს მიაღწიეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის, ფრინველის გაზრდაში.

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა ის, რომ 1962-1963 სასწავლო წელს ყველგან განხორციელდეს გადასვლა საყოველთაო შვიდწლიანი განათლებიდან საყოველთაო სავალდებულო რვაწლიან განათლებაზე.

დღემდე, მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა, საყოველთაო შვიდწლიანი სწავლების განხორციელების საქმეში ნაკლოვანებები გვაქვს, რის შედეგადაც ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი შვიდწლიან განათლებას ვერ ამთავრებს.

მარტო გასულ წელს რესპუბლიკის სკოლების I-VII კლასებს 20 ათასამდე მოსწავლე გამოაკლდა.

არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საყოველთაო სწავლება ცაგერის, ახალციხის, ბოლნისის, სამტრედიის, ახმეტის და სხვა რაიონებში.

გეგმის შესაბამისად ახლანდელი 1.180 შვიდწლიანი სკოლის ნაცვლად 1965 წელს უნდა გვექნეს 1.420 რვაწლიანი სკოლა. I-VIII კლასებში ისწავლის 714 ათასამდე ბავშვი, ე. ი. 174 ათასით მეტი, ვიდრე გასულ სასწავლო წელს.

სოფლად რვაწლიანი სკოლების ქსელის შექმნის საკითხი განსაკუთრებით მწავე ხდება. საქმე ის არის, რომ სოფლის იმ შვიდწლიანი სკოლების მნიშვნელოვან ნაწილში, რომლებიც რვაწლიან სკოლებად უნდა გადაკეთდეს, საჭიროა აშენდეს ან მიშენებულ იქნას ახალი სასწავლო სათავსები, შეიქმნას სახელოსნოები და კაბინეტები, გადართოდეს ან ახლად აშენდეს სასკოლო ინტერნატები, შეიკრას სამეურნეო და სასწავლო მოწყობილობა.

სკოლების წარმატებით გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი პირობაა მათი გადაყვანა ერთ ცვლად მეცადინეობაზე. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა მოგვეკილა. ამჟამად 186.157 მოსწავლე ორ ცვლად მეცადინეობს, ხოლო ზოგიერთ ქალაქში, მათ შორის თბილისშიც, გასულ სასწავლო წელს 3.567 მოსწავლე მესამე ცვლაში მეცადინეობდა.

სკოლის შესახებ კანონი შრომითი აღზრდის კარდინალურ გაუჯობესებასთან ერთად მოითხოვს მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონის შემდგომ ამაღლებას. სკოლებისა და მასწავლებლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების ხარისხის შემდგომი ყოველმხრივი ამაღლება.

მოზარდი თაობის სწავლებასა და აღზრდაში წამყვანი როლი მასწავლებელს ეკუთვნის.

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს მასწავლებლის კეთილშობილურ შრომას. ასრულებს რა ვ. ი. ლენინის მითითებებს, კომუნისტურმა პარტიამ მუდმივი მზრუნველობით შემოსა საბჭოთა მასწავლებლობა.

უეჭველია, რომ თავიანთი შრომის მაღალი შეფასებით აღფრთოვანებული მასწავლებლები ყველა ღონისძიებას მოახმარენ სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნის კანონის წარმატებით განხორციელებას.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების, განათლების სამინისტროს ამოცანაა პრაქტიკულად დაეხმარონ მასწავლებლებს მათ წინაშე მდგომი ახალი რთული ამოცანების სწორად გადაწყვეტაში.

ზაფხულის არდადეგების დროს მასწავლებელთა გადამზადების კურსები გაიარა 3 ათასზე მეტმა მასწავლებელმა. ამჟამად 300-მდე ინჟინერის, აგრონომისა და ოსტატ-ინსტრუქტორისათვის, რომლებიც საწარმოო სწავლებას ხელმძღვანელობენ, მოწყობილია კურს-სემინარები. სასწავლო წლის დასაწყისში სემინარები მოეწყობა იმ სკოლების დირექტორებისათვის, სადაც საწარმოო სწავლებაა.

ამჟამად ახლებურად ისმება მოზარდი თაობის აღზრდის საკითხები. ცხოვრებასთან სკოლის კავშირი წარმოუდგენელია ისე, თუ სერიოზულად არ გაუმჯობესდა აღმზრდელობითი მუშაობა. ახალგაზრდობის მომზადება ცხოვრებისათვის სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მივცეთ მას მხოლოდ პროფესია. საჭიროა ვასწავლოთ ბავშვებს კომუნისტური ყოფა.

მოზიანავ პედაგოგიური კოლექტივები ბრძოლა გაუწევენ სრულყოფენ აღზრდელობითი მუშაობის სისტემასა და მეთოდიკას, თავიანთ ღონისძიებებს წარმართავენ იმისაკენ, რომ ჩაუნერგონ მოსწავლეებს შრომის სიყვარული, იმისადმი მისწრაფება, რომ აქტიურად მონაწილეობდნენ მატერიალური დოვლათის შექმნაში. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაუჯობესდა მოსწავლეთა დისციპლინა, ბევრი ახალგაზრდობის მისწრაფება შრომისადმი.

წლითიწლობით მატულობს იმ ქალაქები და ჭაბუკთა რიცხვი, რომლებიც, საშუალო სკოლის ფარგლებში ამთავრებენ, სამეშაოდ მიდიან ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სახალხო განათლების ორგანოები მტკიცედ უნდა ცდილობდნენ იმის მიღწევას, რომ აღმზრდელობითი მუშაობა თვითეული პედაგოგის შრომის ორგანული ნაწილი გახდეს, რომ იგი სისტემატურად, ყოველდღიურად წარმოიდგეს.

აღზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში განსაკუთრებული ყურადღება ეცნა მიეცეს მოსწავლეთა კოლექტივის შექმნას. ამ საქმეში უფრო ფართოდ უნდა ჩავიბა კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები, დაეხმაროთ მათ თავიანთი საქმიანობის გააქტიურებაში.

აღზრდის საკითხებს, ბუნებრივია, ჩვენში წყვეტს არა მარტო სკოლა, არამედ ოჯახიც. მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა. საჭიროა უფრო ფართოდ მოვიზიდოთ საზოგადოებრიობა სკოლისათვის ქმედითი დახმარების გასაწევად, მასწავლებლის ავტორიტეტის განმტკიცებისა და დაცვაში. მშობლების პასუხისმგებლობის ამაღლებაში.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ის თაობა, რომელსაც ახლა ჩვენი სკოლა ზრდის, მოწოდებულია აშენოს კომუნისტური საზოგადოება. და ჩვენი ვალი, თვითეული საბჭოთა მოქალაქის ვალია ვზრდიდეთ მას ისე, რომ იგი განიმსჭვალოს შეგნებით, რომ მისი ცხოვრების მთელი ამოცანა ამ საზოგადოების მშენებლობაა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო მომავალი სასწავლო წლიდან საშუალო სკოლების უფროს კლასებში შემოღებულ იქნას ახალი პოპულარული კურსი — „პოლიტიკური ცოდნის საფუძვლები“. პედაგოგიური კოლექტივები იწონებენ ამ საახლეს, ვინაიდან ამ საგნის შესწავლა უთუოდ შეუწყობს ხელს მოსწავლეებში კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის ახალ სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებებს — სკოლა-ინტერნატებს, რომლებიც იქმნება პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებით ბავშვთა აღზრდაში საზოგადოების როლის გაძლიერებისა და ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით.

ეს სასწავლებლები მტკიცედ დამკვიდრდნენ ჩვენს ცხოვრებაში და დიდი პოპულარობა მოიპოვეს. სკოლა-ინტერნატებს დიდი მომავალი აქვთ, მათი რიცხვი სწრაფად იზრდება. გასულ სასწავლო წელს მუშაობდა 29 ასეთი სკოლა 5.520 მოსწავლით, ახალ სასწავლო წელს გაიხსნება კიდევ 13 სკოლა-ინტერნატი 4.480 მოსწავლისათვის, ხოლო 1965 წელს სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა რიცხვი 42 ათასამდე გაიზრდება.

ამოცანა ახლა ის არის, რომ თვითეული სკოლა-ინტერნატი სანმეშო სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებად გადაკეთდეს. ისინი უნდა გახდნენ მთელი ინვენტარის ლაბორატორიები, სადაც ღღეს ბოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის ახალი სისტემა.

სახალხო განათლების სისტემის სრულყოფას თან ხდევს სკოლების მატერიალური ბაზის უმაგალითო მასშტაბით განმტკიცება. სკოლებში შექმნილია ასობით სხვადასხვა სახელოსნო, 369 მანქანათმცოდნეობის კაბინეტი, 185 ელექტროტექნიკის კაბინეტი. მარტო წელს ბიუჯეტით გადადებულია 17 მილიონი მანეთი კაბინეტების, ლაბორატორიებისა და სახელოსნოებისათვის მოწყობილობის შესაძენად. სასკოლო მშენებლობაზე სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა რესპუბლიკაში 1960 წელს 93,4 მილიონ მანეთს შეადგენს, რაც სამჯერ აღემატება ამავე მიზნებისათვის 1958 წლის კაპიტალურ დაბანდებებს.

სკოლის გარდაქმნა ნამდვილად საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა. მას ახლა მიპყობილი აქვს ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. ახალი სასწავლო წლის შესახვედრად სკოლების უკეთ მომზადებისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სამრეწველო საწარმოებს შორის სოციალისტური შეჯიბრება ჩვენში ტრადიცია გახდა.

სულ უფრო მეტ გაქანებას იღებს სასკოლო მშენებლობა. კოლმეურნეობათა ინიციატივით. კოლმეურნეობებმა 1957-1959 წლებში აშენეს 131 სასკოლო შენობა 20 ათასი მოსწავლის დგილით. მომდინარე წელს კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს აშენონ 62 სასკოლო შენობა, მიაშენონ 220 ოთახი. წარმატებით ახორციელებენ სკოლების მშენებლობას კოლმეურნეობები ბორის რაიონში, რომელიც 1960-61 სასწავლო წლის შესახვედრად უკეთ მომზადებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორია, მახარაძის, ლანჩხუთის, სიღნაღის და სხვა რაიონებში, აკრეთვე აჯარის ასსრ კოლმეურნეობები.

სასკოლო შენობების მშენებლობასთან ერთად რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობები ახორციელებენ სკოლა-ინტერნატებისათვის სათავსების სრული კომპლექსის მშენებლობას. ზუგდიდის რაიონში კოლმეურნეობების სახსრებით შენდება 7 სკოლა-ინტერნატი, ერთი მათგანი წელს დამთავრდება.

ახალი სასწავლო წლისათვის დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს საწარმოებმა და კოლმეურნეობებმა უფროსკლასელთა საწარმოო სწავლების ბაზის შესაქმნელად. ახალი სასწავლო წლიდან საწარმოო სწავლებაზე გადავა კიდევ 270 სკოლა. ქარხნებსა და ფაბრიკებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ისწავლის მეცხრე და მეათე კლასების 20 ათასამდე მოსწავლე.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან როი მოხერხდა ჩვენი ბავშვების სწავლებისა და აღზრდისათვის საჭირო პირობების შექმნა. ბევრი სკოლა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ორ ცვლად მუშაობს, არა აქვს სახელოსნოები, სასპორტო დარბაზები, სასწავლო კაბინეტები.

და მით უმეტეს შეუწყნარებელია, რომ რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას, არ უზრუნველყოფენ სასკოლო მშენებლობის გეგმების შესრულებას, როგორც ამას ადგილი აქვს გუდაუთის რაიონის კალდახვარის სკოლა-ინტერნატისათვის საერთო საცხოვრებლის მშენებლობაში, ქარელის სკოლისა და ჭიათურის რაიონის ზოდის სკოლის მშენებლობაში.

სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას დიდად შეუწყობს ხელს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ ამას წინათ მიღებული დადგენილება სასკოლო მშენებლობის შესახებ, სადაც განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ სკოლის გარდაქმნის წარმატებით განხორციელებისა და მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში მისი როლის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობა უნდა გახდეს პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვა სკოლის საჭიროებებისათვის ახალი სასკოლო შენობების მშენებლობისა და სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა დიდი და პასუხსაგები საქმეა. უეჭველია, რომ მასწავლებლობა და სახალხო განათლების ყველა მუშაკი მთელ თავიანთ ღონისძიებებს წარმართავენ ცხოვრებასთან სწავლის შეერთების ლენინური პრინციპის წარმატებით განხორციელებისათვის.

ესენი კოლმეურნეთა გოგონები და ბიჭუნები არიან. ჯერ შეუცნობელი სამყარო იშლება მათს წინაშე. დღეს პირველად შედგამენ ფეხს კლასში. პირველად მოისმენენ მასწავლებლის ხმას, გაკვეთილს. კეთილი იყოს თქვენი პირველი ნაბიჯი, ბავშვებო. გაბედულად, რწმენით იარეთ სწავლისა და შრომის გზაზე!

გუშინ პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მასწავლებლების და სახალხო განათლების მუშაკების სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

— მადლობა პარტიას და მთავრობას, მადლობა საბჭოთა ხალხს ჩვენი უანგარო შრომის დაფასებისათვის! — ასეთია ყოველი ჩვენი საბჭოთა მასწავლებლის გულის ძახილი.

„კომუნისტის“ თანამშრომელი გუშინ ესაუბრა ზოგიერთ იმათგანს, ვისაც წილად ხვდა ესოდენ დიდი დაფასება. ისინი უსაზღვრო მადლობას გამოთქვამენ პარტიისადმი, მთავრობისადმი, ხალხისადმი, და პირობას დებენ კვლავაც თავდადებით, ძალღონის დაუზოგავად ემსახურონ მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. ქვემოთ ვბეჭდავთ საუბარს მათთან.

ჩვენი ინტერვიუ

სიხარული, სიამაყე

ცხოვრებაში არის წუთები, როცა მოზღვავებული სიხარულის გამოსახატავად სიტყვის პოვნა გიჭირს, ასეთი გრძნობა მიპყრობს სწორედ დღეს, როცა შევიტყე, რომ რესპუბლიკის განათლების ფრონტის მოწინავე მუშაკებთან ერთად მეც ვარ დაჯილდოებული.

რა გითხრათ, მეგობრებო! ვინც ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში არის ან ყოფილა, მას შეუძლია წარმოიდგინოს უმაღლესი ჯილდოს მიღებით გამოწვეული სიამაყე. რაოდენ სასიამოვნოა იფიქრო, რომ პარტიასა და მთავრობას ამ ჩემი მცირეოდენ მოღვაწეობაზე ესოდენ მაღალი ჯილდო მოუზღვიათ.

პირობას ვიძლევი, მთელი ჩემი ძალა და ენერგია, მთელი ჩემი უნარი და პედაგოგიური გამოცდილება ამ საქმეს მოვახმარო. მიხარია, რომ ეს დაჯილდოება სწორად ახალი სასწავლო წლის დაწყებას ემთხვევა: 1-ლი სექტემბრიდან ახალი ენერგიით ვიმუშავებ მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

დამდეგი ახალი სასწავლო წლის წარმატებებისათვის, შეგობრებო!

ნინო კასრაძე,
ქ. სტალინირის I საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ვიზრდებით, ვიწრთობით

◆ რესპუბლიკის 181 საშუალო სკოლის IX კლასების 5 ათასამდე მოსწავლემ გაიარა საწარმოს სწავლება 56 სამრეწველო საწარმოში, 22 საბჭოთა მეურნეობაში, 63 კოლმეურნეობასა და 12 სარემონტო-ტექნიკურ სადგურში.

◆ სოფლად მოსწავლეთა ბრიგადებში გაერთიანებულმა 89 ათასმა მოსწავლემ გასულ წელს 1 მილიონ 200 ათასი შრომადღე გამოიმუშავა.

◆ 1965 წელს ახლანდელი 1.180 შვიდწლიანი სკოლის ნაცვლად გვექნება 1.420 რვაწლიანი სკოლა, რომელთა I-VIII კლასებში ისწავლის 714 ათასამდე ბავშვი, 174 ათასით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

◆ გასულ სასწავლო წელს 29 სკოლა-ინტერნატი მუშაობდა 5.520 მოსწავლით. წელს მათს რიცხვს ემატება კიდევ 13 ახალი სკოლა-ინტერნატი 4.480 მოსწავლისათვის. 1965 წელს სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა რიცხვი 42 ათასამდე გაიზრდება.

◆ ახალი სასწავლო წლიდან საწარმოო სწავლებაზე გადავა კიდევ 270 სკოლა. ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში საწარმოო სწავლებას გაივლის IX-X კლასების 20 ათასამდე მოსწავლე.

ჯილდო და მოვალეობა

გული ვერ იტევს სიხარულს, რომ ჩემი პედაგოგიური ღვაწლი ესოდენ დაფასებულ პარტიამ და მთავრობამ. არაა სოდეს, არც ერთ ქვეყანაში პედაგოგის ღვაწლი ასე ნაყოფიერი არ ყოფილა, და მასწავლებლის სახელს ხელისუფლების თვალში ამოდენა სიყვარული არ დაუმსახურებია, როგორც ჩვენში.

გონების თვალით გავყურებ ჩემს შრომით გავლილ გზას. რა დრო გასულა! რაოდენ დიდია განსხვავება წარსულის და ახლანდელ სკოლას შორის. რამოდენა საქმე გაუკეთებია ჩვენს სკოლას. რამდენი ახალგაზრდა თავის უბეში ბარტყებივით დაუზრდია, საგზალად სულიერი სიმტკიცე და სიმწიფის ატესტატი მიუცია და იმედიანად დაუფრენია კომუნიზმის მშენებლობის სხვადასხვა უბანზე.

ლენინის ორდენი, საბჭოთა მოქალაქისათვის ყველაზე მაღალი და ყველაზე საპატიო ჯილდო, უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკალებს. ძალისა და ენერგიას მმატებს ჩემს საყვარელ საქმეში, და მინდა მთელი ხმით ვთქვა: — ჩვენი ამაგის ასე დიდად დაფასებას გაორკეცებული შრომით ვუპასუხებთ. საიმედოდ, სამამული რქასავით ვუფუ-ნარ ცვლას შეეტქმნით ჩვენს ხალხს, საყვარელ სამშობლოს.

დაე, პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით, ხალხის სიყვარულით გაზრდილნი ჩვენი პედაგოგიური არმია კვლავაც დაუღალავად იდგეს ახალგაზრდა თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის სამსახურში.

ალექსანდრა ძურიძე,
თბილისის №-4 საშუალო სკოლის დირექტორი.

ჯერ ვაღმოხდილი არა ვარ

პედაგოგიურ ფრონტზე მოღვაწეობა 1935 წელს დავიწყე და მას შემდეგ დაუღალავად ვემსახურები საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საპატიო ჯილდო, მოწინავე მასწავლობაში მრავალი ახალგაზრდა აღმიზრდია, მაგრამ თავს ვალმოხდილად რადი ვგრძნობ, ჩემს პედაგოგიურ გამოცდილებას ვუზიარებ ახალგაზრდა დამწყებ პედაგოგებს.

დიდი სიხარულით შევიტყე უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით ჩემი დაჯილდოება. ამ დიდი დაფასების პასუხად კვლავ ახალგაზრდული გატაცებითა და სიყვარულით განვაგრძობ ჩემს საყვარელ საქმეს — კომუნიზმის მშენებლთა ახალი თაობის აღზრდას.

ლეონტი აჩბა,
ოჩამჩირის რაიონის №-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მადლობა პარტიას

ოცდასამ წელზე მეტია პედაგოგიურ მუშაობას ვეწევი. დიდი სამამულო ომის წლებში მთელი ქვეყნის მშრომელებთან ერთად მეც იარაღით ხელში ვიცავდი სამშობლოს.

ომის დამთავრების შემდეგ კვლავ დავუბრუნდი პედაგოგიურ მოღვაწეობას.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული ვარ უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

უღრმესი მადლობა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ჩემი შრომის ესოდენ მაღალ შეფასებას უფრო ენერგიული შრომით ვუპასუხებ.

ალექსანდრე ნადაშვილი,
თელავის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე.

ზრომით ვუპასუხებ

„მასწავლებელი თავის ენერგიას, სისხლს, ყველაფერს რაც მასში ძვირფასია აძლევს თავის მოსწავლეებს, ხალხს... და თუ საბჭოთა მასწავლებელს სურს იყოს ნამდვილი, მოწინავე მასწავლებელი, ის მუდამ უნდა მიმყვებოდეს ხალხის ყველაზე მოწინავე ნაწილს“.

ეს სიტყვები მ. კალინინმა წარმოსთქვა 1939 წელს ორდენოსანი მასწავლებლებისადმი მიძღვნილ საღამოზე.

ფასდაუდებელია ის სათბო და მზრუნველობა, რასაც მუდამ იჩენდა და იჩენს ჩვენდამი, მშობლიური პარტია და მთავრობა.

ღღეს, როცა ჩვენმა ქვეყანამ კომუნიზმის დიად გზაზე ათნახევარ წარმატებებს მიაღწია, უფრო მკაფიოდ მოჩანს საბჭოთა პედაგოგის როლი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით დაჯილდოებული ვარ ლენინის ორდენით. ჩემი შრომის ესოდენ მაღალ შეფასებას უფრო ენერგიული შრომით ვუპასუხებ.

ალექსანდრე ნადაშვილი,
თელავის სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგე.

დღეს პირველად...

2. **ბალ-ვენახებში** ჩაფლული კოხტა სახლის აივანზე ავთანდილ ქარქიშელი სამფეხა სკამზე ჩამომჯდარა და ლექსს იზეპირებს. ბადის ბოლოზე კი მტკვარი მოშხუის, მდინარის გადაღმა გორის ციხეა აღმართული. ხიდისთაველი პატარა ბიჭი ძველი ციხის ნანგრევებს გაჰყურებს. ირგვლივ თანატოლები შემოსხვეან, სულგანაბული ყურს უგდებენ.

— ხვალ პირველად მიდიხარ სკოლაში, ხომ? ავთანდილ, რომ გკითხონ, რომელი ლექსი იცი, რას იტყვი?

ბიჭუნა უცებ ზეზე წამოდგა, გახედა გორის ციხეს და ამაყად დაიწყო „ვარდს გაეფურჩნა
კოკორი,
გადახეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა,
ტოროლა მაღლა
ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით
გალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზი ხმით ამას ამბობდა:
აყვავდი, ტურფა
ქვეყანავ,
ილხინე იავნთ მხარეო
და შენც, ქართველო,
სწავლითა,
სამშობლო გაახარეო!“

...აყვავდი, ტურფა ქვეყანავ! — ერთხმად, ხმამაღლა იმეორებენ ხიდისთაველი გოგო-ბიჭები, რომლებიც დღეს პირველად შეადგებენ სკოლის კარებს. მათს წკრიალა

საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობა ურღვევია

გელგიის ჯარეგმა დატოვეს კატანგა

*

საჩუქრად ინდოელ მოსწავლეს

*

თვითმფრინავი „ფიურერი"

კერპერს ლოგიკა ღალატობს

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კ. კერტერის გამოსვლის გამო

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გაიკეთა განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მეთაურის კ. კერტერის სიტყვის გამო, რომელიც მან წარმოთქვა 25 აგვისტოს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, ნათქვამია ა. ა. გრომიკოს განცხადებაში, რომ ბ-ნი კერტერი გამოვიდა თვით ამერიკის შეერთებული შტატების მიერ იმ-სპირირებული საკითხის განხილვის დროს, რომელიც ეხებოდა ეგრეთწოდებულ „კონტინენტგარეშე სახელმწიფოს შეღწევას" (მხედველობაშია საბჭოთა კავშირი) კუბასა და საერთოდ ლათინურ ამერიკაში.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ხასნებულ გამოსვლაში თავს ესხმოდა კუბის რეგოლიტურ მთავრობას და უბრალ მოპყავდა მონაპორები საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ. საფუძველიან მოსაზრებათა და თუნდაც ოფიციალურ დამამტკიცებელი საბუთების უქონლობას საბჭოთა სახელმწიფო მდივანი აშკარად ავსებდა „მაგარი" გამოთქმებით, რაც ლანძღვას უფრო ჰგავდა. თუ ეურს დავუგდებთ ამერიკის შეერთებული შტატების მდივანს, გამოდის, თითქოს ის, რომ საბჭოთა კავშირმა კუბის შეკრა იყოდა და მან კუბას ნავთობი მიაწოდა, საშინაო საქმეებში ჩარევა, ხოლო კუბის ეკონომიური ბლოკადა, რაც შეერთებულმა შტატებმა მოაწყეს, კუბელი ხალხისათვის ბრუნვის გამოვლენებაა.

ბ-ნ პერტერის გამოსვლის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების შმართველი წრეებს ის ფაქტი, რომ ლათინური ამერიკის ერთ-ერთი ქვეყანა კუბა განთავისუფლდა ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატისაგან და რომ კუბელი ხალხი ახლა მიდის არა ვაშინგტონის მიერ ნაჩვენები გზით, არამედ იმ გზით, რომელსაც თვითონ განსაზღვრავს.

თუ მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი ფაქტების — კუბის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ხელში ჩარევის ფაქტების დამატებად საჭიროა კიდევ სხვა დამამტკიცებელი თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატისგან სრულ განთავისუფლებამდე მათ ჯერ კიდევ მცირე დისტანცია როდი უნდა გაიაროს.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები აშკარად ესწრაფვიან იმას, რომ მოახდინონ ლათინური ამერიკის ქვეყნების იზოლაცია დანარჩენი სამყაროსგან და ანგარიში გაუწიონ მათ დაუსჯელად ყოველთვის, როცა ესა თუ ის ქვეყანა გაშინგტონის საწინააღმდეგოდ დაადგება ნამდვილი დამოუკიდებელი განვითარების გზას.

ეხები ძალადობა ლათინური ამერიკის სახელმწიფოების მიმართ და დასაკლეთის ნახევარსფეროს ზოგი სახელმწიფოს აგრესიული მოქმედება სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ, — ყოველივე ეს, ბ-ნ კერტერის აზრით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეხებოდეს სახელმწიფოებს, რომლებიც ამერიკის კონტინენტის ფარგლებს გარეთ მდებარეობენ. მაგრამ თუ ამერიკის შეერთებული შტატები აცხადებენ, რომ სხვა კონტინენტებზე მდებარე სახელმწიფოებს არ უნდა ინტერესებდეთ მდგომარეობა ლათინურ ამერიკაში, მაშინ, ამ ლოგიკის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი უნდა მისულიყო იმ დასკვნამდე, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არავითარი საქმე არა აქვთ ევროპაში და ინტერესს არ უნდა ინიდნენ ევროპის საქმეებისადმი.

არავის არა აქვს საფუძველი ილაპარაკოს საბჭოთა კავშირის რაიმე ჩარევაზე ლათინური ამერიკის ქვეყნების, მათ შორის კუბის საქმეებში, რომ წინააღმდეგობაში არ ჩავარდეს ფაქტებისადმი. როცა საბჭოთა კავშირი ხმას იმაღლებს ამა თუ იმ ქვეყნის დასაცავად, იგი ესწრაფვის მხოლოდ იმას, რომ არა სიტყვით, არამედ საქმით დაიცვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები მიუხედავად იმისა, ახლოა თუ შორს საბჭოთა კავშირისაგან ეს ქვეყანა.

ამერიკის ოფიციალური პირები კუბისადმი საბჭოთა კავშირის ეკონომიურ დახმარებას, რომელიც, როგორც ცნობილია ეძლევა ყოველგვარი პოლიტიკური ან სხვა პირობის დაუდებლად, უწოდებენ ჩარევას კუბის საშინაო საქმეებში. მაგრამ, რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთ მტკიცებათა უაზრობის შესახებ, ჩვენ უფლება გვაქვს დავაყენოთ საკითხი — ვინ მისცა მათ უფლება სხვების მაგივრად გადაწყვიტონ საკითხი: ჩარევაა ეს თუ ჩარევლობა? ამ საკითხში მსაჯული შეიძლება იყოს მხოლოდ იმ სახელმწიფოს მთავრობა და ხალხი, ვინც ასეთი დახმარება ითხოვა.

თუ ფაქტების ნიადაგზე დავდგებით, ყველასთვის ამკარა უნდა იყოს, რომ საბჭოთა კავშირისა და კუბის ურთიერთობას საფუძველად უდევს თანასწორუფლებიანი და მეგობრული თანამშრომლობა. საბჭოთა ხალხი აღტაცებულია იმ მამაცური ბრძოლით, რომელსაც კუბელი ხალხი იწევა, იცავს რა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას და რევოლუციის მონაპოვრებს, რა თქმა უნდა, ვერავითარი მონაჭორი საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობის შესახებ ვერ შეცვლის ამ ურთიერთობის მეგობრულ ხასიათს. იგი კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის.

მანევრები დასავლეთ გერმანიაში

ბონი, 30 აგვისტო. (საკდესი). დღეს დაიწყო დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიდი მანევრები, რომლებშიც მონაწილეობს 80 სამხედრო გემი. ხომალდებზეა დაახლოებით 5000 ჯარისკაცი. მანევრებში, რომლებიც ეწყობა დანიის კუნძულების ახლოს კატეგატისა და სკაგერაკის სრუტეებში, მონაწილეობს აგრეთვე სამხედრო-საზღვაო ავიაცია. მანევრები 9 სექტემბრამდე გასტანს. ეს მანევრები წინასწარი წვრთნაა ნატოს საზღვაო-საზღვაო ძალების მომავალი მანევრების წინ.

დღეს პირველად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ახალგაზრდა და მით უმეტეს ახალგაზრდა ცხოვრებაში ბევრი მდელვარე დღე შეხვდება, მაგრამ მას ვაქაცურად გაუძლებს და ელოსაც ის გაიტანს, ვინც ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავს.

ახალგაზრდა, დამწყები მასწავლებლისათვის იმაზე ამაღელვებელი არაფერია, როგორც პირველ გაკვეთილზე შესვლა. მედეა ეგნატაშვილი ბავშვობიდანვე ოცნებობდა მასწავლებელი გამხდარიყო და აკი აუსრულდა კიდეც. წელს გაზაფხულზე წარჩინებით დამთავრა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი და ქ. გორის მეოთხე საშუალო სკოლაში დანიშნეს გერმანული ენის მასწავლებლად.

დღეს მედეა ეგნატაშვილიც დიდი სიხალისით პირველად შევა საკლასო ოთახში. ისიც პირველკლასელივით დელავს. წინადღით გაკვეთილის მსველობის გეგმა შეადგინა. გამოცდილმა მასწავლებლებმა შეაქქი და მოუწონეს გეგმა და თან დაარიგეს: მარტო გეგმის კარგად შედგენა როდი კმარა, საჭიროა მისი თანმიმდევრულად გატარებაა.

მართალი არიან მხცოვანი პედაგოგები, დაუჯერებს მათ მედეა და არც წაგებს.

პირველი გაკვეთილი კი მას ასე სურს ჩაატაროს: მართალია გერმანული ენა უნდა შეასწავლოს ქართველ ბავშვებს, მაგრამ როდი ავიწყდება ცნობილი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სიტყვები, რომ ჯერ მთავარია დედა-ენის სწავლა, ხოლო ამასთან ერთად საჭიროა ვიცოდეთ რუსი ხალხის ენა, უცხო ენაც, რითაც ცხოვრებაში უკეთ გავიკაფავთ გზას.

დამწყებ პედაგოგს არც დავით გურამიშვილის სიტყვები ავიწყდება:

„ისმინე, სწავლის მძებნელო, მიჰყევ დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა".

ამასაც დღეს, პირველ გაკვეთილზე გაახსენებს გორელ მოსწავლეებს.

მართალია ახალგაზრდა დამწყები მასწავლებელია მედეა, მაგრამ მერე რა, მან ხომ საბჭოთა უმაღლეს სკოლაში მიიღო სათანადო ცოდნა. მაშ ახალგაზრდობა რას უშლის. ხომ გაგიგონია, მედეა, რომ არ უშლის ხმალსა სიმოკლე, ფეხი წინ წასდგი, გასწვდებიო! ცოდნა ყველაფრის დედაა. მაშ გულადად შეაღე სკოლის კარი, ფეხი წინ წასდგი და შენი ცოდნა და ენერგია ბავშვთა აღზრდის საპატიო საქმეს გადაანწყვეტინე!

დღეს პირველად, და მრავალჟამიერ!..

ვ. ბოზალიშვილი.

დამწყები მასწავლებელი მედეა ეგნატაშვილი. ფოტო ა. ვეგორისა.

• • •

ნ. ხრუშჩოვის საჩუქარი

—ინდოელ გიჭს

დელი, 31 აგვისტო. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბავშვთა ნახატის XI საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც მოაწყო დასურათებულმა ტერნალმა „შინკარს უიკლიმ" დელიში, ბირველი ადგილი და ინდოეთის პრეზიდენტის ოქროს მედალი მიეკუთვნა ბობბიენი მცხოვრებ 13 წლის ინდოელ მოსწავლეს პრაფულა ამინანდ ჯაველრის, მისი სურათი „საპატიო სტუმრის შეხვედრა", რომელიც მკაფიო ფერებით გამოსახავს გულმხურვალე შეხვედრას, რაც სსრ კავშირის მეხისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს მოუწყო ინდოელმა ხალხმა ინდოეთში მეგობრობის მისი ისტორიული ვიზიტის დროს, დამფუძნებელთა ყურადღების ცენტრში იყო.

ნორჩი მომბეელი მხატვარი დაახლოებით 2,5 თვეს მუშაობდა სურათზე და ყოველდღე უომობდა მას 4-5 საათს. ჯაველრის მუშაობას არა მარტო უმაღლესი შეფასება მისცა გამოფენის ჟიურომ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ინდოეთის საზოგადო მოღვაწეები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, არამედ იგი ცნობილი გახდა აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისათვის, რომელმაც მადლობის ნიშნად ნორჩ მხატვარს გაუგზავნა საჩუქარი: ტრეტიაკოვის გალერეის სურათების ფერადი რეპროდუქციების ალბომი და დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის მუსიკალური მოდელი.

საბჭოთა კავშირის ელჩმა ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვმა, რომელიც გზად იმყოფება ბომბეიში, ნ. ს. ხრუშჩოვის სახელით და დავალებით ბავშვთა ნახატის XI საერთაშორისო გამოფენაში გამარჯვებულს პრაფულა ამინანდ ჯაველრის გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის საჩუქრები. საჩუქრების გადაცემის ცერემონიაზე სკოლაში, სადაც ჯაველრი სწავლობს, შეიკრიბნენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები, ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოების წევრები, ამ ქალაქის მოქალაქენი, პრესის წარმომადგენლები. შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა სკოლის დირექტორმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვის თვალსაჩინო როლი საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების საქმეში და ითხოვა გადაეცათ მისთვის მადლობა ყურადღების გამო და სურვილები წარმატებისა მის მოღვაწეობაში.

მოკლე სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე საბჭოთა ელჩმა ი. ა. ბენედიქტოვმა.

მიტინგის დასასრულს პრაფულა ამინანდ ჯაველრმა თავისი სახელითა და თავისი სკოლის მოწაფეთა სახელით ითხოვა გადაეცათ ნ. ს. ხრუშჩოვისათვის გულითადი მადლობა და საუკეთესო სურვილები მის მოღვაწეობაში, რომლის მიზანია მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცება.

ტრადიციული ლოზუნგით „ჰინდი-რუსი ბჰაი-ბჰაი" დამთავრდა ეს სამახსოვრო შეხვედრა.

სეატო ეხმარება...

„დელი ტაიმსის" ცნობა

დელი, 30 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „დელი ტაიმსი" აქვეყნებს თავისი სპეციალური კორესპონდენტის სტატიას სეატოს „სეატო დახმარებას უწევს ინდოეთზეულ შეამბოხეებს". სტატიაში, კერძოდ, ნათქვამია: „პასუხისმგებელი წრეებიდან იუწყებიან, რომ სეატო კვლავ უწევს ყოველგვარ დახმარებას ინდონეზიელ მეამბოხეებს. „ამის სულ უკანასკნელი ნიმუშ დადასტურებაა უცნობი წყალქვეშა ნავები, რომლებიც ინდონეზიის ტერიტორიულ წყლებში შეიჭრნენ, წყალქვეშა ნავების მიერ ინდონეზიის წყლების დარღვევის შემთხვევები განსაკუთრებით გაბერძენა, როცა მოეწყო სეატოს საბჭოთა-დამბრძოლი მანევრები „ზღვის ლომი", აპრილის დამლევს. მანევრებში ონაწილეობა მიიღო 60 საზღვაო გემმა, უმთავრესად ამერიკისამ, მათ შორის 20 წყალქვეშა ნავმა".

„როგორც მეამბოხე ოფიცერმა მოპაჭედ ნურმა აღნიშნა, რომელიც ინდონეზიის მთავრობამ დაუპატიმრა, — განაგრძობს გაზეთი, — სეატოს წყალქვეშა ნავებს ჯგუფს ბაზა აქვს ახლო სინგაპურში, საიდანაც ეს ნავები ფარულ ექსპედიციებს აწყობენ ინდონეზიის რაიონებში, რომლებიც მეამბოხეთა ხელშია. მეტ ნილად ეს ამერიკელთა წყალქვეშა ნავები დიდი ზომისაა.

ამერიკელებმა არაერთხელ სცადეს სუმატრიდან წაეყვანანთ მეამბოხეთა პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელები და მეამბოხეთა შეიარაღებული ძალები სუმატრის ცენტრალური რაიონიდან გადეაყვანათ დასავლეთ იავის მთებში, ბანდუნგის სამხრეთით. სეატოს შტაბის სპეციალურ საიდუმლო განყოფილებას, რომელიც სინგაპურშია, ევალება უშუალო კონტაქტი დაამყაროს ინდონეზიელ მეამბოხეებთან. სინგაპურში არის აგრეთვე ხელმძღვანელობა მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაციის — მუსლიმთა ლიგისა, რომელსაც კონტროლს უწევენ სეატოს შტაბიდან".

ტელეგრაფი გვაცნობინებს

ბელგიის ჯარებმა დატოვეს კატანგა

როგორც ფრანს პრესის საგაზეთოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან იუწყება, 30 აგვისტოს ბელგიის უკანასკნელმა ქვეგანაყოფებმა დატოვეს კატანგა, რამდენიმე ასეული პარაშუტისტი ელიზაბეტვილიდან თვითმფრინავებით გაფრინდა. ბელგიის სამხედრო ბაზის კამინის ევაკუაცია 15 საათზე დამთავრდა ადგილობრივი დროით.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა, ამ მომენტიდან კატანგაში არ დარჩენილა ბელგიის ჯარისკაცები, გარდა რამდენიმე კაცისა, რომელნიც იქ მყოფებიან ტრანზიტით, მიემგზავრებიან რა თავთავიანთ გარნიზონში რუანდა-ურუნდიში.

შეჩერდა საპარლამენტო არჩევნები ირანში

როგორც ფრანს პრესის საგაზეთოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, ირანის ახალმა პრემიერ-მინისტრმა შარიფ იმამიმ გამოსცა ბრძანება, რომ შეჩერდეს მეჯლისის არჩევნები იმ ოლქებში, სადაც იგი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

თეირანში აცხადებენ, რომ ეს ღონისძიება დაახლოებით 30 ოლქში გავრცელდება.

სვასტიკა ამერიკის აღმის ქვეშ

ამას წინათ ამერიკის დედაქალაქის ქუჩებში ნახავდით სცენებს, რომლებიც უნებურად მეხსიერებაში აღადგენდნენ გერმანიაში ფაშიზმის ჩასახვის დღეებს.

...ვაშინგტონის ცენტრში ამერიკის კონგრესის შენობის — კაპიტოლიუმის ახლოს ღია მიტინგი გაუმართავს ამერიკის ფაშისტურ პარტიას, რომელმაც თავისი „დაბადება" ოფიციალურად გამოაცხადა ნახევარი წლის წინათ. მიტინგი მოწყობილია ფაშისტურ თავყრილობათა რიტუალის ზუსტი შესაბამისობით. ამერიკის ვარსკვლავებიან და ზოლებიან დროშასთან ჩამომწკრივებულან ხაკისფერ ხალათიანი „მოიერიშეები" — პიტლერელ ახალგაზრდა ვაებატონოა ზუსტი პირი. სამკლავურებზე მათ სვასტიკის გამოხატულება აქვთ.

წინ გამოდის ვეება აყლაყუდა. ეს ვინმე ჯორჯ როკუელია — ახლად მოვლენილი ამერიკელი „ფიურერი". ახალგაზრდა ვაებატონები მას პიტლერელ ფაშისტთა მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი მისახსალმებელი ეგზტით და „ჰაილის" გამაყრუებელი ღრიალით ხვდებიან. „ფიურერი" სიტყვის წარმოთქმას იწყებს. პირველივე მისი ფრაზები საკვირველ უეჭველს ხდიან, თუ რა ბინძური წყაროებიდან არის ნასესხები ეს ფრაზები. თუმცაღა, ცოფიანი ფიურერის ამერიკელი მიმდევრები არც ფარავენ თავიანთ „იდეურ" ნათესაობას მასთან.

უფრო მეტიც, პიტლერი ოფიციალურად გამოაცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების ნაცისტური პარტიის „ფილოსოფიურ მამად". როკუელი იმეორებს თავისი „სულიერი წინაპრის" პოზასა და ორატორულ მანვეკრებს და ისტერიული ჩახლეჩილი ხმით გამკვირვის, რომ ამერიკელი ფაშისტების მიზანია „ებრაელებისათვის მუსრის გაკეთება, კომუნისტების მოსპობა და ხანგების დაბრუნება უკან აფრიკაში". ამერიკელ „ფიურერს" ბგონია, რომ პარტიის „თეორიული საფუძვლები" საკმაოდ ზუსტად გადმოსცა, და შეკრებილ მსმენელთა პირდაპირ შეურაცხყოფაზე გადადის. პოლიციელები, რომლებიც ამ თავყრილობას ხედავენ, გულგრილად „ფიურერებს" ყოველივე ამას. „ყველაფერი რიგზეაო — „ამერიკული დემოკრატია" ხომ კერძოდ იმითაც არის განსაკუთრებული, რომ არ კრძალავს სიჯარო მოწოდებას კაცთმოძულეობისა და ადამიანთა მოსპობისაკენ, თანაც, გაზეთების ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფაშისტური პარტია ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს სიბრძნეში, „ძირგამომთხრელ ორგანიზაციებს" შორის არ ირიცხება.

სამი თვის განმავლობაში კვირადღეებით ასეთი შეკრებები რეგულარულად იმართებოდა შეერთებული შტატების დედაქალაქის ქუჩებში. ფაშისტური პარტია არ დასჯერდა თავის შეხედულებათა სიტყვიერ პროპაგანდას და დაბეჭდილი მანიფესტიც კი გამოუშვა, რომელსაც მიტინგების დროს ავრცელებდნენ და ამერიკის გაზეთებსა და დეპეშათა საავგენტოებს უგზავნიდნენ. უნდა მოგაგონოთ, რომ ამ მანიფესტში ამერიკელმა ფაშისტებმა თავიანთი სიმპათიები გამოუცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ ვიცე-პრეზიდენტს ნიქსონს, რომლის კანდიდატურაც პრეზიდენტის პოსტზე წამოყენებულია რესპუბლიკური პარტიისაგან, და მოუწოდეს ხმა მისცენ მას არჩევნებში, რაც ნოემბერში გაიმართება.

აღვირახსნილ ფაშისტ არამზადათა ბრბო დედაქალაქის მახზტატებმა ვეღარ დაკმაყოფილა. მალე მათი მეთაური როკუელი, მიდის ნიუ-იორკში, სადაც ცდილობს ფაშისტური მიტინგი მოაწყოს შეერთებული შტატების ეროვნული დღესასწაულის დღეს — „დამოუკიდებლობის დღეს". ეს ფაშისტური გამოხდომა მხოლოდ სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი პროტესტის შედეგად ჩაიფუშა.

მაგრამ ის, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა ნიუ-იორკში, ხავსებით შესაძლებელია ვაშინგტონში. ფაშისტური მიტინგები აქ უკვე გაცილებით მეტი გაქანებით გრძელდებოდა. როკუელს მდიდარი მფარველები გამოუჩნდნენ. პრესაში იუწყებოდნენ, რომ მას ფინანსური დახმარება შესთავაზეს, ვაშინგტონის გარეუბან არლინგტონში როკუელის სახლში შეიქმნა ფაშისტური პარტიის შტაბ-ბინა. მის სახურავზე ფაშისტური ალამი აღმართეს. არ ვიცით, რამდენ ხანს აპირებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ხელისუფლები ლმობიერად ეცქირათ ფაშისტი არამზადების უწესობისათვის. მაგრამ ვაშინგტონში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გადაწყვიტეს არ დალოდებოდნენ პოლიციას და ბოლო მოეღოთ ამ თავხედური გამოხდომებისათვის.

3 ივლისს, მორიგი ფაშისტური მიტინგის დროს, როცა თვითმარქვია „ფიურერი" ისტერიულად გაჰყვიროდა, მისი პროვოკაციული ჩხუბილით გაკვეთილმა ხალხმა აშკარად გამოთქვა უკმაყოფილება. მაშინ ფაშისტები სიტყვიერი საბუთებიდან უფრო მაგარ არგუმენტებზე გადავიდნენ — მოიერიშეებმა მუშტები დაატრიალეს. ხანმოკლე შეტაკების შემდეგ მიტლერის მაგრად მიტაცებული მომდევრები თავიანთ მეთაურთან ერთად დაეპატიჟნენ. მათ წაუყვანეს ბრალდება „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში". მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ფაშისტი არამზადები ვიღაცის დახმარებით ჩვეულებრივ ხულიგნებად „გადანათლეს" და გაათავისუფლეს. მორიგი ფაშისტური თავყრილობა ოვლისას დამლევს ცემატყეპითა და მის წამომწყებთა დაპატიმრებით დამთავრდა. ამერიკელ „ფიურერს" გარდუვალი გახამრლობა ელოდა. მაგრამ აქაც ვიღაცის უხილავმა ხელმა სცადა მისი ხსნა. როკუელის დამცველები იმას იმოწმებდნენ, რომ „სიტყვის თავისუფლება" ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველასთვის არის გარანტირებულია. დაიწყეს ხმების გავრცელება, როკუელი ფსიქიურად დაავადებულია. მაგრამ ფსიქიატრებმა შეამოწმეს ამერიკის შეერთებული შტატების ეს ყოფილი მფრინავი, კორეაში ომის მონაწილე, რომელიც ამჟამად ფაშისტურ პარტიას ჩაუდგა სათავეში, და. დასკვნა მისცეს, რომ იგი აბსოლუტურად ჯანსაღია.

ერთ-ერთ მიტინგზე როკუელმა განაცხადა: „ჩემს ბიჭებს ჯერ კიდევ არ შეუძლიათ ზიანი მოგაყენონ. მაგრამ დადგება დრო, როცა რსინი საშინი იქნებიან. მიტლერი გერმანიის გადასარჩენად იბრძოდა, ჩვენ ვიბრძვით მთელი მსოფლიოს გადასარჩენად. როცა ჩვენ გავიმარჯვებთ, ალარ იქნება არც ერთი ებრაელი, არც ერთი კომუნისტი".

ამერიკის საზოგადოებრიობა დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ფაშისტის ხსნის ცდებს. გაზეთების რედაქციებს მისდგთ ბევრი წერილი, რომლთა ავტორები მოითხოვენ, რომ როკუელს მსჯავრი დაედოს როგორც ოფიციალურად არსებული ნაცისტური პარტიის მეთაურს.

ი. ბარსუკოვი.

თურქი ხალხის დღესასწაული

ანკარა, 30 აგვისტო. (საკდესი). თურქი ხალხი ზეიმით აღნიშნავს დღეს გამარჯვების დღესასწაულს — დაბა დუმლუპინართან გამარჯვების 38 წლისთავს.

ანკარა საღამესასწაულად მორთულა. შენობებზე გამოფენილია სახელმწიფო ალმები, ათათურქის მავზოლეუმი და თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის ძეგლები მორთულია ცოცხალი ყვავილებით, ღამისით პიპოდრომზე გაიმართა სამხედრო სკოლის კურსანტებისა და ანკარის სამხედრო გარნიზონის ნაწილების პარადი. პარადს დაესწრნენ: სახელმწიფოს მეთაური და პრემიერ-მინისტრი გენერალი გიურსელი, ეროვნული ერთიანობის კომიტეტის წევრები, მინისტრები, უმაღლესი სამხედრო სარდლობის წარმომადგენელი, დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები, მათ შორის სსრ კავშირის დროებითი სამუშაოთა რწმუნებული თურქეთში ვ. ა. ლიბერეზოვი.

დღეგანდელი გაზეთები საღამესასწაულად გადორმებული გამოვიდა.

ჯაფუფური დავალება

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ჩიკაგო დეილი ნიუსი" აქვეყნებს ერთი ძკითხველის წერილს, რომელშიც ნათქვამია, რომ დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს აგენტები ცდილობდნენ მისთვის ძიეცათ ჯაშუშური დავალება საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს. წერილში, კერძოდ, ნათქვამია: „1958 წელს მე ევროპაში ვიმგზავრებდი. ჩემს მარშრუტში მეტანილი იყო 10 დღის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში.

გამგზავრებამდე ერთი კვირის წინ ჩემთან კონტაქტი დაამყარა დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს აგენტმა, რომელიც დაინტერესდა რუსეთში ჩემი მოგზაურობით.

ეი რა მკითხა მან:

1. ლაპარაკობ თუ არა რომელიმე უცხო ენაზე.

2. ხომ არ შემიძლია საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მოვახდინო რომელიმე სტრატეგიული დაკვირვება და დავიმახსოვრო.

3. ხომ არ შემიძლია წარვუდგინო დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს ანგარიშისთვის პირი ჩემი მარშრუტის, რომელიც „ინტერესმა" მომცა.

მან მითხრა, რომ ამერიკელი ტურისტები უფრო ძვირფასი არიან ცნობების შეგროვების მხრივ, ვიდრე მომზადებული აგენტები. მე თავაზიანად ეუთხარი ამ ჯენტლმენს: მე უბრალო ტურისტი ვარ და ეს არ მაინტერესებს-მეთქი.

„ამერიკის პოზიცია ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება"

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც პრესა ლატინას საგაზეთო იუწყება, გამოვიდა რა ამერიკის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე სან-ხოსეში, ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგნასიო ლეონ ორკაიამ განაცხადა:

„ვენესუელა არის კუბის, მისი ხალხისა და მისი მთავრობის მეგობარი. ვენესუელისა და კუბის ერთი და იგივე ფესვები აქვთ. ეს ქვეყნები ახორციელებენ ბოლივარისა და მარტის იდეალებს, რომლებიც სიდიადით ერთმანეთს ემთხვევიან (ბოლივარი და მარტი ვენესუელისა და კუბის ეროვნული გმირები არიან. — რედ. შენიშვნა)... თითოეული ქვეყნის თავისებურებათა შესაბამისად ისინი ახორციელებენ სახელმწიფო მშენებლობის უფლებას, რომ უკეთ ემსახურონ თავიანთ ხალხებს".

ამიტომ, თქვა ორკაიამ, ვენესუელელებს მიაჩნიათ, რომ კუბის მისწრაფება დაიცვას თავის სუვერენიტეტი, განამტკიცოს მთავრობის პოზიციები, გამოიყენოს თავისი ქვეყნის სამდიდრო, განახორციელოს საგარეო პოლიტიკა თავისი ინტერესებისათვის არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც „კონფლიქტი რომელიმე ქვეყანასთან".

ვენესუელის მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების პოზიცია სან-ხოსეს თათბირზე ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება. „ჭეშმარიტება გვაკავშირებს გავიხსენოთ, — განაცხადა მან, — რომ ვიდრე კუბა დაიწყებდა საწარმოთა ნაციონალიზაციას, მას ბრალი დასდეს კომუნიზმში; სანამ ოდენ ურთიერთობას დაამყარებდა საბჭოთა კავშირთან, მას უწოდეს რუსეთის სატელიტი; სანამ კუბა ხელშეკრულებას დადებდა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ, შეერთებული შტატების კონგრესსა და მთავრობაში გაისმა მოთხოვნა მიღებული ყოფილიყო მას წინააღმდეგ ეკონომიური რეპრესიები".

პრესა ლატინას საგაზეთოს ცნობით, ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრმა უარი თქვა ხელი მოეწერა „ამერიკის დეკლარაციაზე", რომელიც წარმოადგენს ცდას ლეგალიზებულ იქნეს ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა ლათინური ამერიკის საქმეებში და შეიცავს გამოხდომას სსრ კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მეგობრული ურთიერთობის წინააღმდეგ.

კომუნისტი

მე-8 გვერდი, ხუთშაბათი, 1 სექტემბერი, 1960 წ.

რაულ როას პრეს-კონფერენცია

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც პრესა ლატინას საგაზეთო სან-ხოსედან იუწყება, პრეს-კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირიდან კუბის დელეგაციის წასვლის შემდეგ, კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნო

რომის ოლიმპიადიდან ჩვენ ქვეშ

ოლიმპიური ცეცხლი გიზგიზებს

*** 7 ოქროს, 3 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი საბჭოთა სპორტსმენებს * გივი კარტოზიას მეოთხე გამარჯვება * ავთანდილ ქორიძემ ბეჭებზე დასცა მოწინააღმდეგე**

რეკორდების „უხვი მოსავალი“

რომი, 31 აგვისტო. (საკუთარი კორ.). გუშინ 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვის ფინალში ქალთა შორის ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი გახდა ამერიკელი სპორტსმენი კაროლინ შულერი, რომელმაც დისტანცია 1 წუთსა და 9,5 წამში გაცურა და ამრიგად ახალი ოლიმპიური რეკორდი დამყარა. მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა ჰოლანდიელმა მარიან ჰეემსკერკმა, რომლის დროა 1 წუთი და 10,4 წამი. საბჭოთა სპორტსმენმა ზინაიდა ბელოვეცკაიამ მეექვსე ადგილი დაიკავა.

საღამოს მოცურაგეთა შეჯიბრება აღინიშნა კიდევ ორი ახალი ოლიმპიური რეკორდით, რომლებიც დაამყარეს ამერიკელმა სპორტსმენებმა ზურგით ცურვაში ამერიკელმა რ. ბენტემა დისტანცია 1 წუთსა და 02,0 წამში დაფარა და გაიმარჯვა ავსტრალიელი დ. ტეილის ოლიმპიური რეკორდი, თვითონ ტეილმა აჩვენა მესამე დრო — 1 წუთი და 03,1 წამი. 37 მცურავთა შორის მეოთხე შედეგი აჩვენა საბჭოთა სპორტსმენმა ლ. ბარბიერმა — 1 წუთი და 03,5 წამი. მეორე საბჭოთა სპორტსმენი, ვ. სიიმარი თავის გაცურავაში ფინიშთან მეორე მივიდა შედეგით — 1 წუთი და 04,6 წამი, რამაც უფლება მისცა მას მონაწილეობა მიიღოს 16 საუკეთესოთა შორის ნახევარფინალში.

მწვავე ბრძოლით მიმდინარეობდა ბრასის სტილით მცურავ ვაჟთა ფინალური გაცურავა 200 მეტრზე. ოლიმპიური ასპარეზების ჩემპიონი გახდა ამერიკელი მალიკენი — 2 წუთი და 37,4 წამი. ფინიშთან მეორე მივიდა იაპონელი ოსაკი. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ჰოლანდიელმა მენსონიდესმა.

საჭიდაო ხალიჩების ვეფხვები

გუშინ სამ ხალიჩაზე გრძელდებოდა კლასიკურ მოჭიდავეთა შეჯიბრება. დღის პირველ ნახევარში ხალიჩაზე გამოვიდნენ სახელმოხვეჭილი საბჭოთა ფალავნები გივი კარტოზია (ქვემძიმე წონა) და ივანე ბოგდანი (მძიმე წონა). გ. კარტოზიამ დაამარცხა გერმანელი მოჭიდავე ალბრეტი; ხოლო ი. ბოგდანმა წმინდად მოუგო შეხვედრა ძლიერ შვეიცარიელ სპორტსმენს რიპარდს.

საღამოს ეფექტური გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა გუნდის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა — ქვესაშუალო წონის მოჭიდავე გ. გამარკინმა, რომელმაც მეოთხე წუთზე ბეჭებზე დასცა ბულგარელი მოჭიდავე კირილი.

საბჭოთა მოჭიდაველების ეს სამეული დამაჯერებლად მიიწევს წინ ფინალური შეჯიბრებისაკენ, მათ არ განუცდიათ არცერთი დამარცხება და მიღებული აქვთ მეტად მცირე საჯარიმო ქულები; დაუმარცხებლად გამოდის აგრეთვე მჩატე წონის მოჭიდავე ო. კარავაევი, რომელმაც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ლიბანელ ნაკოუზთან შეხვედრაში.

მსუბუქი წონის მოჭიდავეთ ავთანდილ ქორიძემ თავისი მოწინააღმდეგი—ბერძენი ანსტასი ხიდურზე დააყენა, მეხუთე წუთზე და ორივე ბეჭით გააკრა ხალიჩას.

კიდევ უფრო მძიმე ამოცანა გადაჭრა საშუალო წონის მოჭიდავემ ნ. ჩუჩალოვმა, რომელმაც ორივე ბეჭზე დასცა მეტოქე — ლიბანელი რომანოსი.

ამ საღამოს დიდი ბრძოლა გადაიტანა საბჭოთა მოჭიდავემ კ. ვირუპაევმა (ქვემსუბუქი წონა), რომლის მეტოქე იყო მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი უნგრელი პოიაკი. კ. ვირუპაევმა ქულებით წააგო შეხვედრა და ახლა ხუთი საჯარიმო ქულა აქვს. ამდენივე საჯარიმო ქულა აქვს უმჩატესი წონის მოჭიდავე ი. კორეგრინს, რომელმაც ოსმანს (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა) მხოლოდ ქულებით მოუგო.

ამრიგად, გუშინდელ შეხვედრათა შედეგად საბჭოთა მოჭიდაველების გუნდის ყველა რვა მონაწილემ მოიპოვა უფლება შემდგომ განაგრძოს ბრძოლა ოლიმპიური მედლების მოსაპოვებლად.

ფარიკაობის ბილიკებზე

როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფით დამთავრდა გუშინ მოფარიკაეთა ტურნირი რაპირით ბრძოლაში. ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი ოლიმპიადების ისტორიაში პირველად გახდა ლენინგრადელი სპორტსმენი ვ. ყდანოვიჩი. ვერცხლის მედალი მეორე ადგილისთვის გადაეცა ი. სისიკინს.

ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა რვა სპორტსმენი — სამი სსრ კავშირიდან (ვ. ყდანოვიჩი, ი. სისიკინი და მ. ბიდლერი), ორი საფრანგეთიდან (ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი დ' ოლიოლა და კლოსე), პოლონელი სპორტსმენი ვოიდა, ინგლისელი მოფარიკაე ჰოსკინსი და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი აქსელროდი.

კლოსემ ფეხი დაიზიანა და გამოვიდა ფინალური შეჯიბრებიდან, ამის გამო მისი პირველადელი შედეგები გაუქმებულ იქნა. ვ. ყდანოვიჩმა ბრწყინვალედ წარმართა ფინალური ბრძოლა, დაამარცხა თავისი ყველა მოწინააღმდეგე. იგი გაიზრდელად და ელვისებურად აწარმოდა შეტევას. ფინალური შეჯიბრების დასკვნით ბრძოლაში მან ინგლისელთან 5:3 დაამარცხა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი დ' ორიოლა.

ი. სისიკინმა, რომელმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა, ფინალში მოიგო ოთხი ბრძოლა, განიცადა ორი დამარცხება —ვ. ყდანოვიჩთან და ვოიდასთან შეხვედრებში. ბრინჯაოს მედალი ხვდა ამერიკელ აქსელროდს. მომდევნო ადგილები დაიკავეს პოლონელმა ვოიდამ, მ. ბიდლერმა (სსრ კავშირი) და ინგლისელმა ჰოსკინსმა.

სპორტის დამსახურებული ოსტატები

გუშინ საბჭოთა ოლიმპიელებმა პირველ ოქროს მედალოსნებს ხაზეიმო შეხვედრა მოუწყეს. საბჭოთა სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა რომანოვმა ნიჩბოსნებს მიულოცა გამარჯვება და სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდების მინიჭება.

„სპორტის მეფე“ სტარტზე

მძლეოსნობას რომში შემოხვევით რიდი უწოდებენ „სპორტის მეფეს“. და მართლაც იგი ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრების ის სახეობაა, რომელიც ყველაზე მეტ მონაწილეს ითვლის, ყველაზე მეტი მედლებია დაწესებული გამარჯვებულთათვის.

გუშინ „ფორო იტალიკოს“ სტადიონი სავსე იყო სპორტის მოყვარულებით, ტურისტებით, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ოლიმპიელებით. გაისმის სტარტიორის დამბაჩის ხმა, ადგილიდან მოწყდნენ სპრინტერები. დისტანციაზე ცხარე ბრძოლა გაჩაღდა.

ეს იყო 100 მეტრზე წინასწარი გარბენა. პირველ გარბენს მეორე მოყვა და ასე შემდეგ. ყველაზე უკეთესი დრო აჩვენა ცნობილმა გერმანელმა მძლეოსანმა ჰარიმ. მისი დროა 10,2 წამი. საბჭოთა სპრინტერები ფინალში ვერ მოხვდნენ.



ვერა კრეპკინას ოქროს მედალი

77 ქვეყნის 1.200 მძლეოსანი გამოდის პირველობისათვის ბრძოლაში. გუშინ ისინი ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ. თარჯრბენში 80 მეტრზე, გამორბენით სიგრძეზე ხტომაში, 800 მეტრზე რბენაში და მძლეოსნობის სხვა სახეობებში.

ბრძოლა სიგრძეზე ხტომაში ძირითადად სსრ კავშირის, გერმანიის გაერთიანებული გუნდისა და პოლონეთის მძლეოსნებს — კრეპკინას, იუნგერსა და შესინსკის შორის წარიმართა. შეხვედრა დამთავდრა სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. კრეპკინას გამარჯვებით, რომელმაც აჩვენა შედეგი — 6 მეტრი და 37 სანტიმეტრი და სსრ კავშირისა და ოლიმპიური ახალი რეკორდი დაამყარა.

ულერდა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. ვ. კრეპკინას ხაზეიმოდ გაეფიცა ოლიმპიური ოქროს მედალი. მეორე ადგილზე გამოვიდა შესინსკი. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა იუნგერმა.

80 მეტრზე თარჯრბენში ი. პრესმა აჩვენა 10.6 წამი და ფინალში გავიდა. 800 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის ა. კრივაშევი ნახევარფინალში გავიდა. 400 მეტრზე რბენაში კარგი შედეგი აჩვენა ა. ჩეჩელოვმა.

მეოთხიდან მეორე ადგილზე

უკანასკნელ დღეს, 31 აგვისტოს, მძლეოსნურ კროსში საბჭოთა ხუთჭიდელებმა ბრწყინვალე შედეგი აჩვენეს, გაუსწრეს უახლოეს მეტოქეს, მეოთხედან მეორე ადგილზე გადმოინაცვლეს და ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ესენი იყვნენ იგორ ნოვიკოვი, ნიკოლაი ტატარინოვი და ჰანო ხელგი.

ოლიმპიური ოქროს მედალი ხვდა უნგრეთის გუნდს. ამერიკელები ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდნენ.

საბჭოთა გოლიათის ფინიში

კლასიკურ ჭიდაობაში გამარჯვებისა და ოქროს პირველი მედლის მახარობელი იყო საბჭოთა გოლიათი ივანე ბოგდანი, რომელსაც არც ერთი დამარცხება არ განუცდია და XVII ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი გახდა.

საბჭოთა სპორტსმენების მედლები

დასაწყისში იტალიელები გამარჯვებას ზეიმობდნენ, ოქროს მედლების პირველი მფლობელები ისინი იყვნენ. დღეები გადიოდა, მდგომარეობა თანდათან შეიცვალა, საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებას, ახალი გამარჯვება მოსდევდა.

დღეს სსრ კავშირის გუნდი ყველას უსწრებს, მას 7 ოქროს 3 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი აქვს.

სურათებზე: XVII ოლიმპიადის ჩემპიონები ვიქტორ კაპიტონოვი (ზემოთ), ვიქტორ ყდანოვიჩი.

* * *

კაზი ას მეტრზე წინასწარ გაცურავში ამერიკელმა რ. ბენტემა დისტანცია 1 წუთსა და 02,0 წამში დაფარა და გაიმარჯოს ავსტრალიელი დ. ტეილის ოლიმპიური რეკორდი, თვითონ ტეილმა აჩვენა მესამე დრო — 1 წუთი და 03,1 წამი. 37 მცურავთა შორის მეოთხე შედეგი აჩვენა საბჭოთა სპორტსმენმა ლ. ბარბიერმა — 1 წუთი და 03,5 წამი. მეორე საბჭოთა სპორტსმენი, ვ. სიიმარი თავის გაცურავაში ფინიშთან მეორე მივიდა შედეგით — 1 წუთი და 04,6 წამი, რამაც უფლება მისცა მას მონაწილეობა მიიღოს 16 საუკეთესოთა შორის ნახევარფინალში.

კაცნი ვაარ თ

ბაზაფხულის ერთ კვირა დღეს ბორჯომში გადავწყვიტე წასვლა. ეშმაკად, მაინც დამაინც მანქანით მოვიწევდი გასეირნება. ამხანაგმა უყოყმანოდ მითხოვა თავისი „პობედა“. მანქანა რომ ვიშოვნე, მეორე ჩემს ამხანაგს შევატყობინე. მოლაპარაკებული ვიყავით, რომ ერთად გაგვეტარებინა კვირა დღე, თვრამეტ-ცხრამეტი წლის ჯაბუკმა კარზედ მომაყენა ალაგ-ალაგ საღებავგაცლილი, დაფეხვილი „პობედა“. დამციხავად გამეღიმა და შევცბუნდი კიდეც. ყმაწვილკაცმა, რომელსაც ოთარი ერქვა, ღიმილი შემატყო და მითხრა:

— ეგრე ნუ უყურებ მაგას... ბორჯომში კი არა, იმას იქით წაგიყვანს.

— ვნახოთ, რა ვიცი... — მხრები ავიჩეჩე უიმედოდ.

მალე მოვიდა ალექსანდრე თავისი მეუღლით ნატოთი. ისინი ალბათ გაკრიალებულ „ვოლგას“ ან „პობედას“ ელოდნენ. ქალმა ცხვირი აიბზუა, მაგრამ არაფერი თქვა, შეწუხებული ჩაჯდა მანქანაში. წინა სავარძელზე — „გამოვიქმე“ თუ არა, ნატოს ჩურჩული მოესმა:

— ასე რომ მცოდნოდა!..

...როგორც იყო დავიძარით. მაგრამ, ვაი, იმ მგზავრობას!..

ბორჯომში მუხლი გავშალეთ. მანქანიდან რომ გადმოვედით, მაშინ ვიგრძენით თავბრუს ხვევა, გვერდების ტკივილი.

— ბიჭო, საღ იშოვნე ეს მანქანა? — მკითხა ალექსანდრემ. ნატომ კი ისე შემომხედა, რომ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი ისედაც შერცხვენილი. ძალუნებურად გავიღიმე, მხრები ავიჩეჩე და ვუთხარი:

— რა დანჯღრეული რამ არის, არა? აქედან მატარებლით წავიდეთ...

— ჰო... ჰო, აქედან მატარებლით წავიდეთ, — ღრმად, თავისუფლად ამოისუნთქა ქალმა და ცოტა შვება იგრძნო.

მაგრამ უბედურება ის იყო, რომ სანამ ტყე-პარკში დავისვენებდით და შემდეგ ბაღის რესტორანში გემრიელ პურ-მარილს შევექცეოდით, — საღამოს ბორჯომმა გაგვასწრო და, ჩვენ ისევ იმ სოცოდავ მანქანაში ჩავსხედით. ხაშურს რომ გავცილდით წამოწინწკლა და მალე შეხატუნა წვიმამ დაგვცხო.

ჩამობნელდა.

მანქანას შუქთფარებიც მოშლოდა მხოლოდ პატარა ნათურები ჰქონდა ჩართული და ოთარი იმით იკვლევდა გზას.

გორს იქით წვიმამ გადაიღო, მაგრამ სულ მცირე ალმართზეადაც კი უძნელდებოდა ჩვენ მანქანას ასვლა, გაცვეთილი, ალაგ-ალაგ დაკერებული საბურავებით „ფეხს ვერ იკიდებდა“ მოლიპულ გზაზე.

შელმართი დაიწყო თუ არა, ძრავამ ერთი დაიხიხინა და ჩაქრა...

ოთარი გადახტა, ძრავას ხუფი ახადა და შიგ ჯიბის ნათურა ჩაანთა. დიდხანს ჩხირკედელაობდა. ჩვენ გასუსულები ვისხედით და ველოდით მოსახდენელს.

— როგორ არის საქმე, ბიჭო?

— მგონი არაფერი გამოდის... ნეტავ საბარგო მანქანა აგვიყვანდეს ბუქსირზე... — თქვა მძღოლმა დარდიანად, — ვერაფერი მოვუხერხე ამ ოხერს.

— აკი ამბობდი...

შუალამე გადავიდა.

ალმართს კიდევ ერთმა მანქანამ შემოუტია, მალე ჩვენს წინ გაჩერდა „მოსკვიჩი“ და იქიდან გადმოვიდა ტანადი ახალგაზრდა.

— რა გაგვირვებიათ? — იკითხა მან ბოხი ხმით.

უცნობი ჩვენ მანქანას მოეახლოვდა. ოთარს ნათურა სთხოვა და ძრავას ჩახედა.

— იცი რა, დალმართზე რომ დაადგოროთ, შეიძლება ამუშაადეს, — გვირჩია მან. ცოტა არ იყოს ჭკუაში დაგვიჯდა უცნობის რჩევა, მაგრამ მანქანა ხომ პირით ალმართისაკენ იდგა. მობრუნება არ უნდოდა?!

უბედურ კაცს ქვა ალმართში დაეწევაო... შემობრუნებისას მანქანა გზიდან დაცურდა და უკანა თვლებით გზისპირა თხრილში ჩაეფლო, ძრავა ხომ დუმდა და დუმდა.

პირველად მაშინ გავიგე ოთარის გინება. უცნობი თავის მანქანაში ჩაჯდა და ჩვენკენ დაეშვა. მოგვიახლოვდა, მანქანიდან გადმოხტა და თხრილში ჩაფლულ „პობედას“ შეხედა.

— ამოვიყვანთ? — იკითხა მან და მამაკაცებს შემოგვხედა.

— რა ვიცი, ვცადოთ, — ვუპასუხე და პირველი დავეჯაჯგურე მანქანას, ტალახს არ მოვერიდე, მუხლამდე შევტოპე, ჯანდაბას-მეთქი, ვიფიქრე, ოღონდ გაჭირვებას გადავურჩე.

მანქანა მძიმედ იჯდა ტალახში.

უცხობი შეწუხდა.

— აბა რა უნდა ვქნათ? ამ შუაღამისას აქ ხომ არ იქნებიო? წამოდით ჩვენთან... ოთხ კილომეტრზეა ჩვენი სოფელი.

— არა, სად უნდა წავიდეთ? — გაისმა ნატოს შეძკრთალი ხმა.

— არ მეხლობით? — ჩაიცინა უცნობმა.

— რა ვიცი... როგორ არა, მაგრამ... — დაიწყო ჩემმა ამხანაგმა, — როგორ უნდა შეგაწუხოთ.

— შეწუხება რა... თქვე კაი ხალხო... ადამიანები ვართ, კაცნი ვართ... აბა აქ რა გეშველებათ?

— დაიცდით გათენებამდე, არა გვიშავს რა, — ჩავერიე მეც.

— ეე, — ხელი ჩაიქნია უცნობმა, — რახან არ იშლით... გამწევს მაინც ამოგიყვანთ სოფლიდან და მექანიკოსსაც... ნახევარ საათში აქა ვარ.

იგი სწრაფად ჩაჯდა მანქანაში, იქვე შემოატრიალა და ალმართზე ჩიტივით აფრინა.

— რა საქმე გაგვიკეთა! — თქვა ბოლმამრეულმა ოთარმა, — შუა ალმართზე მაინც ვიდექით წეღან... გვირჩია, საქმე გაგვიფუჭა და წავიდა.

— ვითომ მოვა?

— მოვა არა ისა... ამ შუაღამისას გამწევსაც ჩამოგვიყვანს და მექანიკოსსაც, როგორ არა... წავა და გემრიელ ძილს გამოაცხობს... ან შეიძლება... რა ვიცი, კაცნი ვართ... ვინმე არ მოიყვანოს და არ გაგვძარცვოს... — თქვა ოთარმა. დაავიწყდა, რომ ქალი გვახლდა და მძარცველის ხსენებაზე შეიძლება შეშინებოდა კიდეც. რაღა ქალი. მეც გამცრა ტანში და ალბათ ალექსანდრესაც არ ადგა ხვირი.

რა უნდა გვექნა?! ირგვლივ ბნელა, არაფერი ჩანს. ნაშუაღამევის პირველი საათია. რა გაძლებს დილამდე.

ნაბო მანქანაში ჩავსხედით და გზაზე დავიწყეთ ტრიალი. ნაწვიმარზე გრილოდა. ტანში გვაჟრჟოლებდა და ათასი ცუდი ფიქრი გვიტრიალებდა.

მაგრამ, აგერ, სულ მალე გაგვიღიმა ბედმა, გორიდან დაგვიანებული ავტობუსი მოდიოდა თბილისისაკენ. ჩამოგვეკრა და გაგვიჭირა ნატო და ალექსანდრე გავაყოლე, მე კი ოთართან დავრჩი. აბა მარტო როგორ დავტოვებდი.

ავტობუსი წავიდა.

მანქანაში მოვიკუნტეთ, და გათენებას დავიძარით. წინ ჩვენ მივდიოდნენ, უკან გამწევი მოათრევს „პობედას“.

მთავარი გზიდან გადავუხვიეთ.

— ბიჭები გვეყვანან ისეთები, რომ... ამბობს ჩემი თანამგზავრი, „ვხედავ“ ვამბობ გუნებაში.

— მე ლევანს მეძახიან... თქვენი სახელი?

ვუთხარი ჩემი სახელი. სხვა ვერაფერის თქმას ვერ ვუბედავ. დატყვევებული მივყევარ სადღაც. მანქანის შუქფარები უკვე ანათებენ სოფლის ორლობეებს, ჭიშკრებს...

გულზე მომეშვა.

— რაზე მუშაობთ სოფელში? — ვეკითხები და ხმას გაბედულებას ვმატებ, რომ თანამგზავრმა შიშის ნატამალიც არ შემატყოს. რა ვიცი, კაცნი ვართ, კაცთა შორის კი ბოროტებიც არიან და კეთილნიც. ძნელია სახეზე ამოიკითხო, ვინ რის ჩამდენია.

— ჩვენ, აი ეს ბიჭები და მე, ყველანი მექანიკოსები ვართ. კოლმეურნეობაში ვმუშაობთ. ბიჭებს წეღან ტკბილად ეძინათ, მაგრამ დავუძახე თუ არა, ხელად წამოცვივდნენ... ცხრა მთას იქით გავყვებით ერთმანეთს... — თავმომწონედ ამბობდა იგი.

„მოსკვიჩი“ ჭიშკარს მიაყენა და გაჩერდა. გადახტა, ჭიშკარი გააღო და მანქანა ეზოში შეიყვანა.

ეზოში მაღალი, ორსართულიანი სახლი იდგა. სახლის ზემო ოთახები განათებული იყო. ელექტროშუქი აივანზედაც ენთო. ეზოს დღესავით ეფინა შუქი.

ეიგრძენი, რა სიმყუდროვე სუფევდა მიძინებულ სოფელში. ამ ღამეშიც კი ჰაერი ხეხილის ყვავილების სუნით გაქეენთილიყო. აქეთ-იქით მეზობელი სახლების ლანდები მოჩანდა. მოლრუბლულ ცაზე, ერთ ადგილას ნათელი გაკრთა და იქ ობლად გამოიხედა ვარსკვლავმა.

— აბა, მობრძანდით, გეთაყვა, — ხელი მომბჯინა ლევანმა და სახლისაკენ წამიყვანა.

დაღლილი, გაწამებული და გაოგნებული გავყევი. წამოიყვანეს ოთარიც. იგი უხერხულად გრძნობდა თავს და აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა გაეწყო. კიდევ კარგი, ისინი მაინც გავისტუმრე. ჩემი თავი ჯანდაბას!

მანქანიდან გადავედი. კიდევ ვეზიერე ტალახი და ავედი გზაზე.

ორმა ვაჟკაცმა ღვედი ჩაუბა „პობედას“, ერთმა ძრავას ახადა ხუფი და მაშინვე დახურა: კაი სარემონტოაო, თქვა და მერე გამწევის მძღოლს დაუძახა, აბა, დაიძარიო.

ჩუმად ვარ. ჩემთვის ჯერ არავის სცხელა. ოთხნი ისინი არიან, ორნი ჩვენ.

გამწევმა სწრაფად და ძალოვნად გასწია, „პობედა“ უცებ ამოაგდო თხრილიდან.

— ნელა, ღმერთმაღალო! — შეუძახა „მოსკვიჩის“ მძღოლმა თავის ამხანავს, რომელიც გამწევის საჭეს უჯდა, — მანქანაში ქალია, ფრთხილად წაიყვა.

— ქალი თბილისში გავისტუმრეთ.

— როგორ? რითი? კარგი კი გიქნიათ... აბა, ჩაბრძანდი ჩემ მანქანაში... თქვენც რიგიანად გაგისტუმრებთ. ეგრე კი არ არი. კაცნი ვართ.

ბედს მივენდე. ცივად ჩავჯექი მანქანაში.

მანქანა დიდი ვაივაგლახით დავძარით...

ნახ. გ. ფირცხალავასი.

— მოვიდა, მოვიდა!..

— ვინ მოვიდა, ბიჭო?

თვალები ვკუიტე. გზაზე ორი მანქანა იდგა და იმათ შუქზე რამდენიმე მამაკაცი მოჩანდა. ორი მათგანი ჩასაბმელს მოათრევდა „პობედისაკენ“.

სამას მანეთზე მეტი არ მიდევს ჯიბეში, — ეფიქრობ გაოგნებული, — ლამაზია იაფფასიანი მაქვს; კოსტიუმი, ო, როგორ გავაფუჭე ტალახში. ერთი კვირაც არ არის, რაც მაცვია... მაგრამ ახლა ამასაც უნდა შეველიო მალე და მანქანაში დედიშობილა ჩავჯდები“.

— მოვედით! დაირეხრეხა ჩვენმა ნაცნობმა უცნობმა, — აბა, ბიჭებო!

ტანში გამცრა.

კიდევ კარგი, ისინი მაინც გავისტუმრე. ჩემი თავი ჯანდაბას!

მანქანიდან გადავედი. კიდევ ვზიერე ტალახი და ავედი გზაზე.

ორმა ვაჟკაცმა ღვედი ჩაუბა „პობედას“, ერთმა ძრავას ახადა ხუფი და მაშინვე დახურა: კაი სარემონტოაო, თქვა და მერე გამწევის მძღოლს დაუძახა, აბა, დაიძარიო.

ჩუმად ვარ. ჩემთვის ჯერ არავის სცხელა. ოთხნი ისინი არიან, ორნი ჩვენ.

გამწევმა სწრაფად და ძალოვნად გასწია, „პობედა“ უცებ ამოაგდო თხრილიდან.

— ნელა, ღმერთმაღალო! — შეუძახა „მოსკვიჩის“ მძღოლმა თავის ამხანავს, რომელიც გამწევის საჭეს უჯდა, — მანქანაში ქალია, ფრთხილად წაიყვა.

— ქალი თბილისში გავისტუმრეთ.

— როგორ? რითი? კარგი კი გიქნიათ... აბა, ჩაბრძანდი ჩემ მანქანაში... თქვენც რიგიანად გაგისტუმრებთ. ეგრე კი არ არი. კაცნი ვართ.

ბედს მივენდე. ცივად ჩავჯექი მანქანაში.

— მოვედით! დაირეხრეხა ჩვენმა ნაცნობმა უცნობმა, — აბა, ბიჭებო!

ტანში გამცრა.

მოთხრობა

ბაზილიკა დი მასენციოს“ ხალიჩებზე გრძელდება კლასიკურ მოჭიდავეთა შეხვედრები. სპორტის დამსახურებული ოსტატი გივი კარტოზია, რომელიც ქვემძიმე წონაში გამოდის, მორიგ წრეში შეხვდა ფინელ მოჭიდავე ვენჭანენს და გაიმარჯვა.

სურათზე: გ. კარტოზიას (ზემოდან) და ვენჭანენის შეხვედრის მომენტი.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, ილუსტრაციო — 3-20-43, მუშა-ოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

ოლიმპიადა

ოლიმპიადა

ოლიმპიადა